# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 28 მარტი 2008 №069 (3293) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის

## სიტყვა და რიცხვი
# გაგვფხრიწეს!

ეს სიტყვა ახსენეს ირლანდიელებმა საქართველოსთან მატჩის მერე. ეს რიცხვი კი ჩვენი გამოთვლილია

## 1,116279069767441860465116279069 8

საშუალოდ აი, ამდენ საათს ატარებს ყოველდღიურად კლაუს ტოპმიოლერი საქართველოში 2008 წლის 1 იანვრიდან დღემდე



## მეფსონეებო ყველა ქვეყნისა, სექტემბერში შეერთდით!
## 25 გრადუსი და მეტი საქართველოსია

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# როგორია ტოპმიოლერი: დამცინავი თუ მიამიტი?



**რაც** აკავებს კლაუს ტოპმიოლერს საქართველოს ნაკრებში დარჩენაზე, შეგვიძლია, ვარაუდები გამოვთქვათ, მაგრამ თავმოყვარე მწვრთნელი მის ადგილზე გადადგებოდა. ყველაფერს თავისი ზომა-წონა აქვს. ყველაფერს აქვს ხაზღვარი, რაც ეტყობა, ამ კაცმა არ იცის ან არ უნდა, რომ იცოდეს.

მე ასე მგონია: ცუდი შედეგისთვის მწვრთნელს უნდა უსაყვედურო, კარგისთვის კი შეაქო — ეს არ არის „ურმის გადაბრუნების შემდეგ გზის გამოჩენა“. ესაა გრძნობა და გულიდან ამოძახილი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი, ბევრი წამოგვაძახებს, თქვენ ის არ იყავით, შოტლანდიასთან მოგების შემდეგ ტაშს რომ უკრავდით ტოპმიოლერსო?

რატომ არ უნდა დაგვეკრა, როცა გუნდი გუნდს ჰგავდა და მართალია, ტოპმიოლერი უკვე წელიწადნახევარზე მეტი იყო, რაც ნაკრებს წვრთნიდა, გვეგონა, აი, კაცმა ეს დრო შესწავლას მოანდომა და ნაკრების თამაში დაალაგაო. მოგებას, წესით, პროგრესი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ გამოჩნდა, რომ 17 ოქტომბერი და შოტლანდია ყარაულის თოფის გავარდნა ყოფილა.

მერე დაიწყო ისევ ნაცნობი სცენები — გოლდასეტყვილი ქართველები და გახარებული მეტოქეები... თანაც ვისთან, ღმერთო დაგვიფარე, საშუალოზე საშუალო დონის ევროპულ ნაკრებებთან სამ მატჩში გაშვებული 9 გოლი, თანაც ამ სამიდან ორში 30-ე წუთზე თამაში უკვე წაგებული გვქონდა.

რა დაგვანახა ამ ყველაფერმა? რა და...

1. კლაუს ტოპმიოლერს თურმე არ უმუშავია ნაკრებში და არაფერიც (ღირებული და გარდამტეხი) არ უსწავლია.

2. მუშაობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რადგან ბევრი უმაქნის-უცოდინარი ფეხბურთელი ჰყავს და ვერაფერს გახდა.

მე პირველი მიზეზი უფრო მგონია და არგუმენტებიც ინებეთ: ტოპმიოლერი კარში აყენებს გიორგი მაკარიძეს, რომელიც კარგა ხანია, თავის კლუბში არ თამაშობს. მეტიც, ამ კლუბის ძირითად გუნდში ერთხელაც არ მდგარა კარში;

ცენტრალურ ნახევარმცველად, ასეთ საკვანძო პოზიციაზე, თვალდახუჭული ენდობა ლევან ცქიტიშვილს, არადა, ცქიტიშვილს შარშან მაისის შემდეგ კლუბში არ უთამაშია;

ცენტრალურ თავდამსხმელად ამწესებს ალექსანდრე იაშვილს, ვინაც „კარლსრუეში“ მარცხენა გარემარბია და მშვენიერ სეზონსაც ატარებს...

გამოდის, ტოპმიოლერი ჯერ კიდევ სწავლობს, რომელი ფეხბურთელი სად გამოადგება? რაღა დროს ეგაა, ჰერ კლაუს, უკვე ორი წელი გავიდა ამ „სწავლაში“...

და კიდევ: არ ვიცით, ეს კაცი დაგვცინის თუ მართლა ასე ჰგონია, როცა ამბობს, საქართველომ რომ თურქებს მოუგო, ეს იგივეა, ლუქსემბურგმა გერმანიას რომ სძლიოსო. ქართული ფეხბურთის ტრადიციებს არ იცნობთ, კეთილი (თუმც რაღა კეთილი), მაგრამ თუ მართლაც ბურთის უნახავი გგონიათ ეს ქვეყანა, ექვსი წლის წინ „ლევერკუზენში“ მოპოვებული სამწვრთნელო პრესტიჟის უარესად შელახვა რაში გჭირდებათ? უარესად იმიტომ, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე იყო შელახული იგივე „ლევერკუზენში“ და „ჰამბურგში“ საშინელი შედეგებით.

ან მომავალ შესარჩევ ციკლში არშერცხვენის გზა დაგვანახეთ, ან წადით „ლუქსემბურგის დონის საფეხბურთო ნიჭის და ტრადიციების“ საქართველოდან!

რადგან ვერაფერი დაგვანახეთ, წადით!

ის გულშემატკივრები, რომლებმაც გუშინწინ ინტერნეტში თამაშის ნახვით დაითხარეს თვალები და ნერვები, რბილად რომ ვთქვათ, ოდნავ უკეთესად მოთამაშე ნაკრებს მაინც იმსახურებენ...

**ილია ნანობაშვილი**



ნაიჯელ უორთინგტონი

# სასექტემბრო ფსონი: 25°C გრადუსი და მეტი საქართველოსია

## მობეზრებული მოსასმენი: აი, შემადგენლობა რომ გვყოლოდა...

საქართველოს ნაკრების სტუმრად თამაშის მერე, ჩვეულებრივ, იმ ქვეყნის გაზეთებს და ინტერნეტგამოცემებს ვათვალიერებთ ხოლმე, სადაც ჩვენს ეროვნულ გუნდს თამაში ჰქონდა. ტრადიციულად ასე მოვიქეცით ახლაც: ჩრდილოირლანდიურ ვებგვერდებს ჩამოვუარეთ და ფრიად საინტერესო კომენტარებიც ამოვკრიბეთ. კლაუს ტოპმიოლერის გამონათქვამები ბოლოსთვის ჩაროზად შემოვინახოთ, ჯერ კი ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ნაიჯელ უორთინგტონის კომენტარს გავეცნოთ:

„ყველაფერი მშვენივრად გამოვიდა, ძალიან კმაყოფილი ვარ“.

„ახლა ყველა დევიდ ჰილის გოლებზე ლაპარაკობს, მეტოქის კარში გატანილზეც და საკუთარ კარში ჩაჭრილზეც. სწორედაც იტყვიან — ამ გოლებზე უნდა ვილაპარაკოთ. თუმცა მეორე მხრივ, ამ მატჩში აღსანიშნი ბევრი სხვა რამეც მოხდა“.

„პეტერ ტომპსონის თამაშმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ძალიან კარგი გოლიც გაიტანა. ოღონდ იმასაც ვიტყვი, რომ იმ გოლში მთლიანად გუნდის დამსახურებაც ძალიან დიდია“.

„მატჩამდე ჩემს ფეხბურთელებს მაღალ ტემპში თამაში მოვთხოვე და პირველ ტაიმში ზუსტად ის მივიღე, რაც მინდოდა. თქვენ ჩრდილოეთ ირლანდიის ნამდვილი სახე ნახეთ“.

„თამაშის დღეს, დილით, შემადგენლობაში ცვლილებების შეტანაც მომიხდა. სასტარტო შემადგენლობაში ჯორჯ მაკარტნი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი მეუღლე სამშობიაროში წაიყვანეს და ჩვენც ჯორჯი გავათავისუფლეთ. მის მაგივრად მარცხენა მცველად ჯონი ევანსი ვათამაშე და მანაც შანსი საუკეთესოდ გამოიყენა“.

„მთლიანობაში, როგორც უკვე ვთქვი, ძალიან კმაყოფილი ვარ. ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებას ველოდებით და წარმატების იმედიც გვაქვს“.

ახლა კი კლაუს ტოპმიოლერის „მარგალიტებს“ შემოგთავაზებთ, იგივე წყაროებიდან რომ ამოვკრიბეთ, ოღონდ ჯერ თავად ჩრდილოირლანდიელების ერთი მწარე კბენა: ტოპმიოლერი ბედნიერი იყო, პირველ ტაიმში გაფცხრეწის მერე, კატასტროფა თავიდან რომ აიცილაო.

როგორია?!

ახლა კი „მარგალიტები“:

„ჩვენ ისე სწრაფად გაგვატანეს სამი გოლი, შესვენებისას თამაში უკვე დამთავრებული იყო“.

„ამ მატჩიდან ვერაფერი მივიღეთ, გარდა იმისა, რომ მეორე ტაიმში კატასტროფა თავიდან ავიცილეთ“.

„მატჩისგან მეტს ველოდი, მიუხედავად იმისა, რომ 10 ფეხბურთელი გვაკლდა. რაც მოხდა, პირველად შეგვემთხვა, თუმცა, ჩვენ მაინც რაღაც მოვახერხეთ“.

ხოლო, როდესაც კლაუს ტოპმიოლერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ირლანდიასთან 6 სექტემბრის მატჩზე ჰკითხეს, პასუხი ასეთი იყო:

„სექტემბერში, როცა ირლანდია ჩამოვა, თბილისში სიცხე, 25-28 გრადუსი იქნება და ეს, შესაძლოა, დაგვეხმაროს“.

ირლანდიურ წყაროებში კლაუს ტოპმიოლერის სხვა ციტატებიც ამოვიკითხეთ, მაგრამ კმარა, ქართველები ამბობენ, ნერვული უჯრედები არ აღდგებაო...

**გიორგი დარჯანია**

## ინგლისი

**კონფერენსლიგა. გადადებული მატჩები**

ძროული 0:4 კიდერმინსტერი
დროილსდენი 2:2 ალდერშოტი
სალისბერი 1:0 სტივენეიჯი

# მრცხვენია!

## კახა კალაძე: ომი და ჩაწყობა

კიდევ ერთი ლაფსუსიანი საღამო ქართული ფეხბურთისთვის. უკვე მერამდენედ, საქართველოს ნაკრები პირწმინდად აგებს ევროპის საშუალო დონის ნაკრებთან — ყველა დაიღალა ამ „უკვე მერამდენეთი“, რომელსაც დასასრული არ აქვს. „მრცხვენია, რა უნდა ვთქვა ასეთი თამაშის შემდეგ. ბრაზისგან აღარ ვარ“ — გვითხრა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ, რომელსაც გუშინ მილანში დავურეკეთ...



— დაგვეთანხმები, საქართველოს ნაკრები შემადგენლობით ნამდვილად არ არის ისეთი სუსტი, რომ მიყოლებით უშანსოდ აგებდეს ლატვიასთან, ჩრდილოეთ ირლანდიასთან...

— ერთი მხრივ, მართალა ვართ რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებსაც ყველა დონეზე გვითამაშია და ჩემთვის აუტანელია ისეთ გუნდებთან განადგურება, რომლის არც ერთი ფეხბურთელის გვარი არ გამიგია... ბურთს რომ ვერ აკენწლიან, ისეთები გვიგებენ. საქართველოს ნაკრებში არიან ნიჭიერი ფეხბურთელები და მათ ნამდვილად შეუძლიათ კარგი ფეხბურთის თამაში, მაგრამ ჯერ სწავლის პროცესში არიან, ჯერ მხოლოდ ნიჭიერები არიან და მეტი არაფერი. მეტი რაღა მიზეზი შეიძლება იყოს, როცა საქართველოს ჩემპიონატი არ არსებობს — იქ თამაშების ჩაწყობა-გაყიდვა მიდის! ქუთაისსა და ფოთს გუნდი არ ჰყავთ უმაღლეს ლიგაში, რომელ ჩემპიონატზეა ლაპარაკი.

— ამდენად ჩამორჩება საქართველოს ჩემპიონატი იგივე ლატვიისას, რომლის ნაკრებმაც მეტწილად თავისი ჩემპიონატის ფეხბურთელებით მოგიგოთ?

— ჩამორჩება! სადაც ამდენი ჩაწყობილი თამაშია, სადაც რამდენიმე წლის წინ ომი იყო და არავის ეცალა ფეხბურთისთვის, უცებ ვერ მოითხოვ ჩემპიონატის აღორძინებას. ყველა დარგში კადრების პრობლემაა, თუმცა, ნელ-ნელა მოგვარდება ყველაფერი, დროა საჭირო.

— ხშირად გითქვამს, ნაკრების მთავარი პრობლემა ძლიერი ფეხბურთელების არასაკმარისი რაოდენობააო...

— ტაქტიკური მოუმზადებლობა ეტყობათ. საქართველოს ჩემპიონატს რომ თავი დავანებოთ, რუსეთსა და უკრაინაში მოთამაშე ფეხბურთელებიც ზოგჯერ ისეთ რამეს აკეთებენ, მიკვირს ხოლმე.

— კლაუს ტოპმიოლერი მათ უხსნის და ვერ აკეთებენ?

— ნაკრებში ორი დღით ვიკრიბებით და რისი ახსნა უნდა მოასწროს მწვრთნელმა ასეთ მოკლე დროში? ეგ კი არა, „მილანში“ და „ინტერში“ მუდმივად მიდის ტაქტიკაზე მუშაობა, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს, ვინ, სად და როდის რომელ ადგილას უნდა იყოს ამა თუ იმ მომენტში.

— ბელფასტური მატჩის წინ ფედერაციის ხელმძღვანელების და ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელების კრება გაიმართა. იქნებ გვითხრა, რა ითქვა კრებაზე?

— კრება ყველა მატჩის წინ გვაქვს. თამაშია პრობლემა, თორემ ნაკრების სამზარეულოში ნორმალური ატმოსფეროა...

— ზურაბ ხიზანიშვილისა და ალექსანდერ იაშვილს რომ არ იძახებდნენ ნაკრებში, ამაზე ვამბობ.

— ამ მხრივ პრობლემა აღარ არის. ხიზანიშვილის ამბავი გაბუქებული იყო.

— როგორ ფიქრობ, შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები გამართული გუნდი იქნება და უკეთეს შედეგს აჩვენებს? ოღონდ, რეალურად თუ გაქვს ამის იმედი?

— იმედი ნამდვილად მაქვს. გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებიც აშკარად უმატებენ. ყურების ჩამოყრა არ მიყვარს და არც ვაპირებ. საქართველოს ნაკრები ჯერ ისედაც არ არის განებივრებული მაღალი კლასის ფეხბურთელებით და ახლა მათი ნახევარიც რომ გვაკლდება ხოლმე, მთლად ცუდ დღეში ვვარდებით. ბელფასტში ლევან კობიაშვილი და მალხაზ ასათიანი არ იყვნენ, იქამდე მეც ბევრი გამიცდა ტრავმის გამო. იმედია, ტრავმები და დისკვალიფიკაციები ნაკლებად შეგვაწუხებს მომდევნო შესარჩევში.

...დღეს კი ნამდვილად მრცხვენია. მართლა ხომ არ დავანებებ ფეხბურთს თავს, მეც მინდა რაღაცას მივაღწიო ნაკრებთან ერთად. ძლიერი ფეხბურთელები არ გვყოფნის, მწვრთნელი ისეთ რაღაცას ასწავლის ფეხბურთელებს, რაც არ უნდა სჭირდებოდეთ, ამ დროს კი ზოგიერთი კალაძეზე ტეხს ჯოხს, ეს არის კაპიტანი, „მილანში“ თავს იკლავს და ნაკრებში არ თამაშობსო.

— ტოპმიოლერმა რა გითხრათ მატჩის მერე?

— გამშრალი იყო კაცი, რა უნდა ეთქვა...

— ცოტა „მილანზეც“ ვთქვათ: სერია A-ს ოთხეულში მოხვედრის შანსებზე რას იტყვი?

— ჯერ ადრეა ხელის ჩაქნევა. ოთხეულში გასვლის შანსი გვაქვს, ეგღა დაგვრჩა მიზნად და უნდა მოვახერხოთ.

— „მილანში“ სერიოზულ ცვლილებებს ელიან ზაფხულში — ეს სეზონი ხომ გუნდმა, ფაქტობრივად, ჩააგდო...

— ორი ასაკოვანი ფეხბურთელი მიდის ზაფხულში და ეს უკვე ცვლილებაა. რამდენიმე ახალწვეული გვეყოლება და „მილანი“ სხვა გუნდი იქნება — უფრო ძლიერი, ვიდრე ახლაა.

ილია ნანობაშვილი

## geo_geo_fan@hotmail.com

# პერ კლაუს, წადი!

მორიგი სანაკრებო მატჩი, მორიგი სანაკრებო სირცხვილი, მორიგი სანაკრებო იმედგაცრუება და... მორიგი გულდაწყვეტილი ქომაგის წერილი „სარბიელის“ ფოსტაში. გუშინ ორი წერილი მივიღეთ და სხვებსაც გაქვთ, საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. ასე რომ, გაზეთი „სარბიელი“ და მისი ტრადიციული რუბრიკა გელით...

**DATOKANDELAKI**: გამარჯობა! მადლობა ღმერთს, სატელიტზე რაღაც გაფუჭდა და ჩრდილოეთირლანდიური შავი ღამე ვერ ვიხილეთ საქართველოში. ისევ ძველი ამბავი და ამჯერადაც კატასტროფული შედეგი. ფეხბურთელებიც კარგი უჯიგროები ხართ! აგერ ჩერნოგორიამ ნორვეგიას მოუგო და დასაფიქრებელია ეს თქვენთვის. კლაუს ტოპმიოლერს ნამუსის ნატამალიც რომ ჰქონდეს, დღესვე დატოვებდა პოსტს. ინგლისის ნაკრებში კაპელოსთან ერთად რამდენიმე ფსიქოლოგი მუშაობს, ინგლისელებს მენტალური და ფსიქოლოგიური პრობლემები აღმოუჩინეს თურმე, თქვენ კი მხოლოდ შემადგენლობებითა და ტაქტიკური ცვლილებებით გინდათ, გახვიდეთ ფონს. ეს მე აბსურდად მეჩვენება. საქართველოშიც მცირე დროს ატარებთ, თქვენი მუშაობა უშედეგოა, ასე რომ, კარგი იქნება, თუ წახვალთ.

ბატონო ნოდარ! ნუღარ გვეტყვით, რომ ნაკრებში ყველაფერი წესრიგშია... ნუღარ გვატყუებთ. ასეთი თამაშით ნაკრები შესარჩევ ციკლში ბოლო ადგილზე გავა და მერე სამართლიანი იქნება, თუ თქვენც დატოვებთ დაკავებულ თანამდებობას. ნაკრების თამაშზე მივალ, რათა დავრწმუნდე ქართული ფეხბურთის აბსოლუტურ სიკვდილში, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდე — ჩვენ გვატყუებენ!

**IRAKLI1979**: რას გვეკითხება ამოცანა? რამდენი თამაში უნდა წააგოს, რა ანგარიშით და რა სათამაშო ხარისხით საქართველოს ნაკრებმა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ დასვას მწვრთნელის შეცვლის საკითხი? საინტერესო კითხვაა, მაგრამ უფრო საინტერესო მეორე საკითხია, ვინ უნდა იდგეს საქართველოს ნაკრების სათავეში, რომ იგივე შედეგი არ გამეორდეს? აქ ძალაუნებურად ადამიანს გაახსენდება დუმბაძისეული ფრაზა — „კი, მაგრამ რამე ისეთი ფაკულტეტი არ არის, პირდაპირ პროფესორი რომ გამოვიდეს?“

ამაშია, ჩემი აზრით, ამ პრობლემის მთელი სიძნელე, გვინდა, შედეგი საძირკვლის გარეშე. მოვიყვან მარტივ მაგალითს, ერთ-ერთი საკმაოდ ახალგაზრდა მამაკაცი ბავშვთა საფეხბურთო გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწეა, საინტერესოა, ვინმე თუ ინტერესდება საერთოდ იმით, აქვთ თუ არა ბავშვთა და მოზარდთა გუნდების მწვრთნელებს თავში საფეხბურთო აზროვნება, თუ ხვალ ნებისმიერ ობივატელს შეუძლია, დაიწყოს გუნდის გაწვრთნა... ლიცენზირებულ მწვრთნელებზე უკვე აღარაფერს ვამბობ... აინტერესებს კი ქართველ გულშემატკივართა უმრავლესობას, საქართველოს პირველ ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებს რა ხელფასები აქვთ, იქ კი უკვე ისეთი ასაკის ბიჭები თამაშობენ, ვინც რეალურად უნდა შეადგინოს ჩვენი საფეხბურთო რეზერვი, ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომელთაც არანაირი ფინანსური ზურგი არ გააჩნიათ და მათთვის ერთადერთი ინტერესი საზღვარგარეთ სარფიანი კონტრაქტის გაფორმებაა, თუნდაც სადღაც მესამე ლიგაში. ხანდახან „სარბიელის“ მიმოხილვის კითხვისას, როდესაც საქართველოს ჩემპიონატს აშუქებთ, გული სიხარულით აგვევსება, ეს რამდენი სახიფათო მომენტი და რა დაძაბულობა ყოფილა სტადიონზე, არადა... მგონი, კომენტარს აღარ საჭიროებს. რაც შეეხება უმცროს ნოდარ ახალკაცს, მას მამამისთან საერთო მხოლოდ სახელი და გვარი აქვს და ალბათ ცოტა ხანში ამ ძვირფას სახელს და გვარს, რომელიც საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი, თავისი ნამოქმედარით ტალახიან ანაბეჭდს დაამჩნევს.

P.S. თუმცა ყველაფერი ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სანამ საფეხბურთო საძირკვლის მშენებლობა დაიწყება, ორმილიონიანი მწვრთნელის მიერ დამოძღვრილი გუნდი თამაშებს 38-ე წუთისთვის ამთავრებდეს. არის მარტივი დიაგნოზი — ტოპმიოლერი ჩამოვიდა როგორც გერმანელი მწვრთნელი, ჩვენი შემხედვარე წამით ჩაფიქრდა და თქვა: „მე სარტისტოზე მინდა ჩაბარება“...

# არცერთი წამით ნაკლები 1,1162790697674418604651162790698




**გუშინწინ** საქართველოს ეროვნული ნაკრები ბელფასტში 1:4 განადგურდა და ქომაგს კიდევ ერთხელ მოუკლა გული. ქართველი ფეხბურთელები ევროპაში კიდევ ერთხელ შერცხვნენ. ბოლო სამ შეხვედრაში კლაუს ტოპმიოლერის გუნდი უშანსოდ დამარცხდა საშუალო დონის ევროპულ ნაკრებებთან. ლიტვა, ლატვია და ჩრდილოეთ ირლანდია, დამეთანხმებით, ევროპაში ბევრით ვერაფრით დაიკვეხნიან. ჩვენმა ნაკრებმა ბოლო ორ მეტოქესთან პირველ ტაიმშივე 0:3 წააგო.

გუშინწინ ამხანაგური მატჩების დღე იყო და არ გაინტერესებთ, პირველ ტაიმში რამდენი გუნდი დამარცხდა დიდი ანგარიშით? სულ სამი — საქართველო, ლიხტენშტაინი და ანდორა.

ლატვიასთან რომ წავაგეთ, მაშინ ჩვენს გარდა ასეთი შედეგი არავის ჰქონია. მგონი, დამაფიქრებელია, არა? საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოტრიალე ხალხს თუ ვკითხავთ, ჩვენი ნაკრები სწორი გზით მიდის. კრიტიკის გაგონებაზე ქართული ფეხბურთის მეთაურებს აგრესია უჩნდებათ მასმედიის მიმართ. ნეტავ, რა უნდა დავწეროთ? კარგია, ჩრდილოეთ ირლანდიასთან 1:4 რომ წავაგეთ და არა მეტით? ტოპმიოლერს არგუმენტად აღარ გამოადგება, რომ სხვადასხვა მიზეზით ბევრი ფეხბურთელი აკლდა — ამის მოსმენით უკვე დავიღალეთ. ყველამ იცის, რომ ფეხბურთი ასეთია: ხან გეყოლება ოპტიმალური შემადგენლობა, ხან არა. ფეხბურთი ტრავმების გარეშე ხომ წარმოუდგენელია.

ყველა შესარჩევი ციკლის დაწყებამდეა ილუზია, რომ საქართველოს ნაკრები წარმატებით გამოვა, თუმც რა შედეგებიც მივიღეთ, ყველამ ვიცით.

რამდენიმე თვეში ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყება და რას ველოდოთ? ჩვენი ნაკრების ბოლო მატჩების შემხედვარე, სასიკეთოს ნაკლებად.

ჯგუფში ისეთი მეტოქეები გვყავს, ლიტვა, ლატვია, ჩრდილოეთ ირლანდია, მათთან ახლოსაც ვერ მივლენ.

ადრეც ასე იყო და არც ახლანდელი მწვრთნელი ერიდება სათამაშო პრაქტიკის არმქონე ფეხბურთელების დასახებას, რაც ცოტა არ იყოს, გასაოცარია. მსოფლიოში ერთი ნაკრები დამისახელონ, სადაც სამ ასეთ ფეხბურთელს ასახებენ და 90-90 წუთს ათამაშებენ.

ბუნებრივია, ამ მოთამაშეების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ფეხბურთელმა თუ კლუბში არ ითამაშა, ეროვნულ ნაკრებში არ უნდა უხმო!

კლაუს ტოპმიოლერს კონტრაქტს რომ უგრძელებენ, არახალია. დამქირავებელმა გერმანელს საქართველოში მეტი დროის გატარება უნდა მოსთხოვოს და არც ამაშია რაიმე გასაკვირ-საჩოთირო, მაგრამ... უკვე მარტი მთავრდება და წლეულს ტოპი სულ ოთხი დღე იყო საქართველოში, რაც, დაგვეთანხმებით, ზღვაში წვეთიც კი არ არის.

სწორი გზით მივდივართო, რომ ამბობთ, ეს საქმით დაამტკიცეთ, მარტო სიტყვებმა, ვხედავთ, სადამდეც მიგვიყვანათ...

**ნუკრი ლოლაძე**

## კობიაშვილი ფეხზე დადგა

**გერმანული** „კიკერის" ცნობით, გელზენკირხენის „შალკეს" ქართველმა ნახევარმცველმა ლევან კობიაშვილმა ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა.

ტრავმის გამო კობიაშვილმა „დუისბურგთან" და „ჰერტასთან" ორი ბუნდესმატჩი გამოტოვა, თუმცა მწვრთნელი მას ალბათ მომდევნო ტურშივე ათამაშებს.

შეგახსენებთ: ამ ტრავმის გამო კობიაშვილი ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩში დააკლდა ნაკრებს.

**კახა შალამბერიძე**




## გრიგოლავამ როსტოვი როსტოვში გაცვალა

**ქართველი** მცველი გია გრიგოლავა კარიერას რუსეთის პირველი დივიზიონის როსტოვის ასკ-ში გააგრძელებს.

გასულ სეზონში გრიგოლავა „როსტოვში" თამაშობდა, ახლა კი თანაქალაქელ ასკ-ში გადასვლა გადაწყვიტა.

საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი გრიგოლავა „როსტოვის" სარეზერვო გუნდის კაპიტანი იყო, ძირითად გუნდში კი რამდენიმე თამაში აქვს ჩატარებული. ის 19 წლისაა.

და ერთიც: ასკ-ში ითამაშებს ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი ფორვარდი, უკრაინელი ანდრეი პოროშინიც.

**კახა შალამბერიძე**

### თქვენი ინტერვიუ ლევან ყენიასთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია

რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 31 მარტის ჩათვლით. დაუსვით თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com



# ბურდულმა ტრავმა კბილებით გაიტანა

## ზარიაში საქართველომოვლილი მწვრთნელი მივიდა




რაც უკრაინის უმაღლესი ლიგის მეორე წრე დაიწყო, ლადო ბურდულს „ზარიას“ ძირითად გუნდში არ უთამაშია. ქართველი მარჯვენაფლანგელი ტრავმირებული იყო, ახლა კი გამოჯანმრთელებულია, მაგრამ ჯერჯერობით, მხოლოდ დუბლებში მოუწია ბურთაობამ. ამასთან, ლუგანსკურ გუნდს მწვრთნელი შეეცვალა — ალექსანდრ კოსევიჩის ნაცვლად ანატოლი ვოლობუევი დაინიშნა, რაც „ზარიაში“ ბევრს არ ესიამოვნა და მდგომარეობაც აირია. ლადოს გუშინ უკრაინაში დავუკავშირდით...

— ტრავმის შემდეგ სხვა პრობლემები დამეწყო. ორი სიბრძნის კბილი ამოვიღე და ცუდად ვიყავი — ოპერაცია დამჭირდა. როცა ამანაც გაიარა, მწვრთნელი კოსევიჩი გაუშვეს, მე კი ახალი კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ ხელს არ ვაწერ. სავარაუდოდ, არც მოვაწერ.

— რატომ არ გინდა „ზარიაში“ დარჩენა?

— 18 მაისს სეზონი მთავრდება და ჩემი კონტრაქტიც ამოიწურება. უკრაინული გუნდებიდან მაქვს წინადადებები. კონკრეტულად ჯერ ვერ გეტყვით სახელებს, მაგრამ ორი კარგი გუნდია, „ზარიას“ ბევრად სჯობნიან.

— როგორ აცხობ, ახალი მწვრთნელი დაგაბრუნებს ძირითადში?

— ვნახოთ... ერთი კია, კონტრაქტს რომ არ ვაწერ ხელს, არ სიამოვნებთ. კოსევიჩის წასვლა ბევრ ფეხბურთელს ეწყინა და მათ შორის, მეც. გუნდში აირია სიტუაცია, რაც შედეგებსაც დაეტყო. ისე, ვოლობუევს ერთ დროს საქართველოში უთამაშია...

— „ზარიაში“ ფინანსურად აირია სიტუაცია?

— არა, მაგრამ მერე რა იქნება, არ ვიცი... კლუბის პრეზიდენტი დეპუტატი გახდა და ამბობენ, კლუბი აღარ უნდაო.

— უკრაინული პრესა წერდა, „ზარია“ ახლოსაა ვასილ გოგიაძის შეძენასთანო, თუმც ის თქვენთან არ გამოჩენილა...

— ვასოს ძალიან ცუდად მოექცნენ. როდესაც კოსევიჩი „ზარიაში“ დაინიშნა, ყოფილ კლუბ „კრივბასიდან“ 5-6 ფეხბურთელი წამოიყვანა და მეც მათ შორის ვიყავი. გოგიაძის გადმოყვანაც უნდოდა, მაგრამ „კრივბასმა“ ის მილიონ დოლარზე მეტად შეაფასა.

— ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ: ალბათ მოგენატრა იქ თამაში...

— რა თქმა უნდა. თუმც ჩრდილოეთ ირლანდიასთან გამოძახების იმედი არ მქონდა. სხვა თუ არაფერი, უვარჯიშებელი ვიყავი...

**ილია ნანობაშვილი**

# ასათიანმა სრულად დაიწყო

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთმა ლიდერმა მალხაზ ასათიანმა სრული დატვირთვით ვარჯიში დაიწყო.

ასათიანს წელის ტკივილის გამო საკმაო დრო გაუცდა და აქამდე კლუბის გარდა ნაკრებსაც ვერაფრით ეხმარებოდა.

ახლა კი მალხაზი ჯანმრთელადაა და, სავარაუდოდ, რუსული პრემიერლიგის მომავალ ტურშივე დაუბრუნდება „ლოკომოტივს“.

**კახა ზალამბერიძე**

# პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი

### გადადებული მატჩი

### მეშაქრე 2:0 ამერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 19 | 11 | 5 | 3 | 29:14 | 38 |
| გაგრა | 19 | 10 | 5 | 4 | 38:30 | 35 |
| მეშაქრე | 19 | 9 | 6 | 4 | 27:17 | 33 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 19 | 9 | 5 | 5 | 28:15 | 32 |
| ჩიხურა | 19 | 8 | 6 | 5 | 29:25 | 30 |
| ოლიმპი 2 | 19 | 7 | 6 | 6 | 26:20 | 27 |
| კახეთი | 19 | 7 | 4 | 8 | 29:30 | 25 |
| ამერი 2 | 19 | 7 | 2 | 10 | 30:33 | 23 |
| ოლიმპიკი | 19 | 3 | 4 | 12 | 23:39 | 13 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 19 | 0 | 5 | 14 | 17:53 | 5 |




# ოვაცია ზიზუს ქვეყანაში



დევიდ ბექემმა მე-100 სანაკრებო მატჩი პარიზში ჩაატარ

**დევიდ ბექემი** ამბობს, რომ ინგლისის ეროვნული გუნდის მორიგი წარუმატებლობის მიუხედავად, ის სანაკრებო ფეხბურთიდან წასვლას არ აპირებს.

მოგეხსენებათ, „სამი ლომის“ ყოფილმა კაპიტანმა მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონთა შემადგენლობაში თავისი მეასე მატჩი სწორედ ოთხშაბათს, პარიზში წაგებულ შეხვედრაში ითამაშა, მაგრამ ამის გამო გული არ გაუტეხავს:

„წარმოდგენა არ მაქვს, ვინ ავრცელებს ჭორებს, თითქოს მე ნაკრებიდან წასვლას ვაპირებ — თქვა 32 წლის ვარსკვლავმა — გარწმუნებთ, ასეთი ხმების დაყრისთვის საბაბი ნამდვილად არავისთვის მიმიცია. საერთაშორისო სარბიელიდან წასვლა გულში წამითაც არ გამივლია.

11 წლის წინ, როდესაც ჩემი ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში პირველად ვითამაშე, 100 შეხვედრაში მონაწილეობაზე ნამდვილად არ ვფიქრობდი. ასი კი არა, ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნება თუნდაც ერთ სანაკრებო მატჩში მონაწილეობაა. ყველას უნდა, ერთ მშვენიერ დღეს ნაკრების ფეხბურთელად გაიღვიძოს. ბედნიერი ვარ, დღეს სასტარტო შემადგენლობაში რომ ჩამრთეს. ჩემთვის



მატჩს ბექემებისა და ადამსების ოჯახები სრული შემადგენლობით დაესწრო

მთავარი ამ, მეასე შეხვედრაში მონაწილეობა იყო, მოედანზე ფეხის შედგმა მინდოდა. ბუნებით ძალიან ჯიუტი ადამიანი გახლავართ, რასაკვირველია, დრო გადის და გარშემო ვითარება იცვლება, მაგრამ მე მაინც ვაპირებ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში რაც შეიძლება მეტი მატჩის ჩატარებას. ჩემი მიზანია, ეს სვლა გავაგრძელო“.

პარიზში ბექჰმა 63 წუთი ითამაშა და შეცვლისას ორივე გუნდის ქომაგები ფეხზე წამოუდგნენ. მან როგორც ინგლისელებისგან, ასევე ფრანგებისგან ოვაცია მიიღო.

„ამ თამაშს ჩემი მშობლები ესწრებოდნენ. შინ, ტელევიზორთან ისხდნენ პაპა და ბებია. სტადიონზე გახლდნენ ჩემი ცოლი და ბავშვები. ოჯახისა და ქომაგების გარემოცვაში ყოფნა და მათი მხარდაჭერის შეგრძნება საოცრება იყო. საოცარი გახლდათ ის, რომ ოვაცია მომიწყვეს როგორც ინგლისელებმა, ასევე ფრანგებმა. საკუთარი ფანებისგან მხარდაჭერასა და ოვაციას ადამიანი მაინც ელოდები და მათ ბუნებრივია, გულწრფელ მადლობას უხდი, მაგრამ განსაკუთრებული მადლობა ფრანგებს მინდა ვუთხრა.

ჩემთვის რომ ეთქვათ, დაასახელე ადგილი სადაც შენი მეასე მატჩი გინდა გაიმართოსო, სწორედ ზიდანის სამშობლოს დავასახელებდი. პარიზი ჩემს საყვარელ ქალაქთაგან ერთ-ერთია და საფრანგეთი ისე მიყვარს, რომ ამ ქვეყანაში სახლიც კი მაქვს. ერთი სიტყვით, ეს დიდებული ოვაცია მივიღე და ცხოვრების დიდებული ერთი საათი გავატარე“.

ინგლისელი ჟურნალისტების დაკვირვებით, ბექჰი თამაშის განმავლობაში წონაში დაკლებული და ფორმაში ჩამდგარი ჩანდა, ხოლო თავად ფეხბურთელი, წაგების მიუხედავად, დარწმუნებულია, რომ ინგლისის ნაკრების ახალი მწვრთნელი, იტალიელი ფაბიო კაპელო სწორედ ის სპეციალისტია, ვინც მისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს უშველის.

საინტერესოა, რომ დევიდ ბექემის თქმით, კაპელო თავის ფეხბურთელებს მთელი კვირის განმავლობაში ინგლისურად ელაპარაკებოდა, თუმცა პირადად მას დავალება ესპანურად მისცა.

„მე ფაბიოს ხელმძღვანელობით ადრეც ვთამაშობდი და ამდენად, მისთვის დასამტკიცებელი არაფერი მაქვს. ჩემი შესაძლებლობები მანაც კარგად იცის და მე თავადაც. აქ, მთავარი საკითხი ფიზიკური მომზადება გახლდათ. საერთოდ, როდესაც გუნდში ახალი მწვრთნელი მოდის, მასთან შეგუებას და ფეხის აწყობას გარკვეული დრო სჭირდება, მაგრამ დღეს, წაგების მიუხედავად, კაპელო კმაყოფილი გახლდათ. ჩვენ ბურთს კარგად ვაკონტროლებდით და პირველ ტაიმში ფლობაც უკეთესი გვქონდა. პრობლემა კი ის არის, რომ თუ ასეთ დროს გოლს არ გაიტან, ისეთი დონის გუნდი, როგორიც საფრანგეთია, არ გაპატიებს.

იმისთვის რომ ფეხბურთელებს თავისი იდეები გააცნოს, ფაბიოს გარშემო ბევრი ადამიანი ახვევია, მაგრამ როგორც მის ძველ ნაცნობს და ენის მცოდნეს, თუ დახმარებას მთხოვენ, სიამოვნებით დავეხმარები. მოედნის კიდესთან ის ჩემთან ესპანურად ლაპარაკობდა, მაგრამ დანარჩენ ფეხბურთელებს მთელი კვირის განმავლობაში ინგლისურად ესაუბრებოდა. ის ინგლისურად სრულიად ნორმალურად ლაპარაკობს“.

კიდევ, ბექემმა იმედი გამოთქვა, რომ მან თავისი ფორმის შესახებ ყოველგვარი ეჭვი გაფანტა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ცხოვრობს და თამაშობს, ინგლისელთა ყოფილი კაპიტანი დარწმუნებულია, რომ ის სანაკრებო დონეზე ჯერ კიდევ კარგა ხანს შეძლებს გამოსვლას.

„კიდევ, ამ საღამოს, ჩემთვის უმნიშვნელოვანესი რამ კარგი ფიზიკური ფორმის ჩვენება გახლდათ, რაც, ვფიქრობ, შევძელი. გულწრფელად გეტყვით, რომ არც კი ველოდი, ასე საღად თუ ვიგრძნობდი თავს. სეზონის წინ მართლაც ძალიან ბევრი ვიმუშავე და ვითამაშე, რის შემდეგაც ნაკრების მაისურით მოედნაზე გასვლა დიდი სიამოვნება იყო. ვიცი, ამიერიდან ხალხი ყოველთვის იკითხავს, ვარ თუ არა მზად სანაკრებო დონისთვის, თუმცა ამ კითხვაზე ჯერჯერობით ასე შემიძლია ვუპასუხო: პარიზში გამოჩნდა, რომ ჩინებულ ფორმაში ვარ, განსაკუთრებით ფიზიკურში, რაც ორმაგად სასიხარულოა“.

ახლა კი სტატისტიკას ჩავხედოთ. მაშ ასე, დევიდ ბექემი შეუერთდა იმ ელიტარულ ფეხბურთელთა რიცხვს, რომლებსაც ინგლისის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ასი და მეტი თამაში აქვთ ჩატარებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ იგი მხოლოდ 8 თამაშით ჩამორჩება 100-მატჩიანი ზღვარის პირველად გადამლახავ ბობი მურს.

„ბობი მურის, ბობი ჩარლტონის, ბილი რაიტისა და პიტერ შილტონის დარ ფეხბურთელთა კამპანიაში ყოფნა ჩემთვის უდიდესი პატივია — განაგრძო ბექჰმა — ას და მეტ თამაშზე არასოდეს მიოცნებია. ინგლისის ნაკრებში პირველად რომ გამომიძახეს ამაზე საერთოდ არ ვფიქრობდი...“

**პაპუნა ძედია**

დევიდ ბექემს მე-100 სანაკრებო თამაშის აღსანიშნავად ოქროს კეპს გადასცემენ. ცნობისთვის: ასეთი პატივი ბექემამდე წილად არც ერთ ფეხბურთელს არ ხვდომია. კეპი, რომელიც ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს უნდა მიართვან ოქროსფერი დრალონისგან დამზადდება. ადრე, ბრიტანელები, მსგავს კეპებს ტრადიციული ლურჯი მასალისგან ამზადებდნენ. ხსენებულ ჯილდოს, ბექემს, 28 მაისს, აშშ-სთან შეხვედრის წინ გადასცემენ. ხოლო პარიზულ მატჩში დევიდ ბექემისთვის საგანგებო მაისურა და ბუცები დაამზადეს.








| | |
|---|---|
| პიტერ შილტონი | 125 |
| ბობი მური | 108 |
| ბილი რაიტი | 105 |
| დევიდ ბექემი | 100 |
| ბრაიან რობსონი | 90 |
| მაიკლ ოუენი | 89 |

# ამხანაგური მატჩები

## ფრანკ რიბერიმ ინგლისი წააქცია



**საფრანგეთი 1:0 ინგლისი**
1:0 რიბერი (32პ)
**საფრანგეთი:** კუპე, კლერკი, ტურამი, გალასი, აბიდალი, მაკელელე, ტულალანი, რიბერი, მალუდა, ანელკა (სისე 80), ტრეზეგე (გოვუ 64)
**მწვრთნელი:** რაიმონ დომენეკი
**ინგლისი:** ჯეიმსი, ბრაუნი (ჯონსონი 63), ფერდინანდი, ტერი (ლესკოტი 46), ე. კოული, ბექემი (ბენტლი 63), ჰარგრივსი, ბერი, ჯ. კოული (დაუნინგი 46), ჯერარდი (კრაუჩი 46), რუნი (ოუენი 46)
**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო
**გაფრთხილება:** რიბერი, ბექემი
**მსაჯი:** ფლორიან მეიერი (გერმანია)
78 500 მაყურებელი

**ინგლისი** საფრანგეთს სტუმრად თითქმის 60 წელია, ვერ უგებს და ნავსი ვერც ოთხშაბათს „სტად დე ფრანსზე“ გატეხა. 1949 წელს პარიზში ინგლისელებმა ამხანაგურ შეხვედრაში 3:1 აჯობეს „მამლებს“, მაგრამ მას მერე...

პირველი ტაიმი ფაბის კაპელოს გუნდმა მშვენივრად ჩაატარა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც ჰქონდა, მაგრამ გოლი მასპინძლებმა გაიტანეს. 32-ე წუთზე ფრანგების კარგი კომბინაცია ასე დასრულდა — ფრანსუა კლერკმა ინგლისელთა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც დევიდ ჯეიმსმა ნიკოლა ანელკა წააქცია და პენალტი „დაიმსახურა“, რომელიც ფრანკ რიბერიმ უშეცდომოდ შეასრულა.

მეორე ნახევარში „მამლები“ საგრძნობ უპირატესობას დაეუფლნენ და სხვაობის გაზრდა არაერთხელ შეეძლოთ. მათი შეტევების სულისჩამდგმელი დაუღალავი რიბერი გახლდათ. თუმცა ჯეიმსმა რამდენჯერმე იყოჩაღა და შეხვედრაში მეტი გოლი აღარ გასულა.

ფრანგების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი: „ეს უფრო ჭკვიანური და ჩაკეტილი მატჩი იყო, ვიდრე სანახაობრივი და ახლა სწორედ ეს გვჭირდებოდა. შეტევაში უკეთ უნდა გამოვიყურებოდეთ, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვეა და ხარვეზების გამოსასწორებლად დრო გვაქვს. ბევრი მუშაობაა საჭირო. ასეა თუ ისე, კარგია, რომ მოვიგეთ და უფრო დიდი სხვაობითაც შეგვეძლო გამარჯვება“.

„როგორც მატჩის შემდეგ ბიჭებს ვუთხარი, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რაც მათ გააკეთეს. შვეიცარიასთან მატჩს თუ შევადარებთ, პროგრესი აშკარაა. მიუხედავად იმისა, რომ ის შეხვედრა მოვიგეთ, ეს კი წავაგეთ, გუნდმა აჩვენა, თუ რას წარმოადგენს. ფეხბურთელებს დამარცხება არ უნდოდათ და ბოლო წუთებამდე იბრძოდნენ. ასეთი ნიუანსები სასიამოვნოა, თან ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორც საფრანგეთია“ — თქვა კაპელომ.

**გიორგი ძაძაგაძე**

## მუტუმ სიტყვა გაყიდა

**რუმინეთი 3:0 რუსეთი**
1:0 მარიკა (44), 2:0 დ. ნიკულაე (60), 3:0 მ. ნიკულაე (75)
**რუმინეთი:** პოპა, კონტრა (ოგარარუ 70), ტამაში (ო. პეტრე 35), კოვუ (მ. ნიკულაე 46), რაცი, გოიანი, რადოი, ფ. პეტრე (ნიკოლიტა 62), კოჩიში, მუტუ (დიკა 46), მარიკა (დ. ნიკულაე 46)
**მწვრთნელი:** ვიქტორ პიცურკა
**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი (სიჩოვი 65), სემშოვი, ბისტროვი, ჟირკოვი, ბილიალეტდინოვი (ტორბინსკი 61), შიროკოვი, ადამოვი (პავლიუჩენკო 59)
**მწვრთნელი:** გუს ჰიდინკი
**მსაჯი:** ასაფ კენანი (ისრაელი)
10 000 მაყურებელი

**„ებებ** უცნაურად გეჩვენოთ, მაგრამ კმაყოფილი ვარ იმით, რომ ეს მატჩი ვითამაშეთ — თქვა გუს ჰიდინკმა — ყველამ ვნახეთ, თუ რა სხვაობაა ევროპისა და რუსეთის ჩემპიონატებში მოთამაშე ფეხბურთელებს შორის. რუმინელებს ყოველ კვირას ისეთი მატჩები აქვთ, სადაც ბოლომდე დახარჯვა აუცილებელია, რუსეთში კი დაძაბული შეხვედრები იშვიათობაა. ჩვენმა ნაკრებმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. სისწრაფეში გვაჯობეს და ეს უნდა გამოვასწოროთ, რათა ევრო 2008-ზე არ შევრცხვეთ“.

გუს ჰიდინკმა ორშაბათს კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა, გუნდმა კი ოთხშაბათს საჩუქრად სამბურთიანი სხვაობით მარცხი აჩუქა. ეს ნაკრების მესამე სამბურთიანი წაგება იყო ჰოლანდიელის ხელში.

სტუმართა შორის პირველად ითამაშა რომან ადამოვმა და დებიუტანტმა ფორვარდმა ორი მომენტი ვერ გამოიყენა. მასპინძელთა თავდამსხმელმა ჩიპრიან მარიკამ კი სამი მცველით ალყაშემორტყმულმა მოახერხა გატანა და ტაიმის ბოლო წუთზე რუმინეთი დაწინაურდა.

შესვენების შემდეგაც დამხვდურები უტევდნენ და მალე სხვაობა ორამდე გაზარდეს. ვასილი ბერეზუცკიმ ბურთი დაკარგა, რასაც ფლანგური შეტევა და საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა. ფლორენტინ პეტრე ბურთს ვერ მისწვდა, სამაგიეროდ, დანიელ ნიკულაემ მიუსწრო და უძლიერესი დარტყმით აკინფეევს მოგერიების შანსი არ დაუტოვა.

ამის მერე ჰიდინკმა პავლიუჩენკო, სიჩოვი და ტორბინსკი შეუშვა, მაგრამ რუსებს ამანაც ვერ უშველა. მარიუს ნიკულაემ, ვისაც ტრავმის გამო შვიდი თვე გაუცდა, დაბრუნება გოლით გაილამაზა.

„რუმინეთის ნაკრებმა აჩვენა, რომ საკმაოდ ძლიერი გუნდია და ნებისმიერი ევროპელი მეტოქის ძლევა შეუძლია — განაცხადა მასპინძელთა მწვრთნელმა ვიქტორ პიცურკამ — ვიმედოვნებ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად ვითამაშებთ“.

მატჩის შემდეგ ადრიან მუტუმ კომენტარზე უარი თქვა და ორი სიტყვა გაიმეტა: „მადლობა გულშემატკივრებს“. ამბობენ, რომ მის კომენტარებზე ექსკლუზიურ უფლებას „კანალ D“ ფლობს, რომლის რეალურ შოუშიც მუტუ აპრილიდან მიიღებს მონაწილეობას. სანაცვლოდ, ფეხბურთელი მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## დავიდ ვილიამ იტალიას კანავაროს პასით მოუგო

**ესპანეთი 1:0 იტალია**
1:0 ვილია (78)
**ესპანეთი:** კასილიასი, ს. რამოსი (არბელოა 75), პუიოლი (ალბიოლი 17), მარჩენა, კაპდევილა, სენა (ხაბი ალონსო 58), ინიესტა, ხავი, ფაბრეგასი (ლუის გარსია 67), დ. სილვა (რიერა 58), ფ. ტორესი (ვილია 46)
**მწვრთნელი:** ლუის არაგონესი
**იტალია:** ბუფონი, პანუჩი (ძამბროტა 67), კანავარო, მატერაცი (ბარცალი 46), გროსო, დე როსი, კამორანეზი, პირლო (გატუზო 46), პეროტა (აკვილანი 66), დი ნატალე (იაკვინტა 75), ტონი (ბორიელო 46)
**მწვრთნელი:** რობერტო დონადონი
**გაფრთხილება:** მატერაცი, გროსო, ვილია, ლუის გარსია, კაპდევილა
**მსაჯი:** ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)
38 000 მაყურებელი

**ელჩეს** „მარტინეს ვალეროზე“ პირველ ტაიმში უკეთესი ესპანეთი გახლდათ, მეორეში კი იტალია, მაგრამ დავიდ ვილიას გენიალურობამ გამარჯვება მაინც მასპინძლებს მოუტანა. შესვენებამდე აპენინელებმა იკერ კასილიასის კარის ძელი „დაბეჭდეს“ და „როხას“ გოლკიპერმაც გოლის თავიდან ასაცილებლად ოფლი ღვარა. მერე კი დავიდ ვილიას ფანტასტიკური დარტყმა იყო, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონებს თამაში წააგებინა.

ესპანეთისთვის იტალიაზე გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რამდენიმე თვის წინ საფრანგეთთან მოგებული მატჩი. ანგარიში ელჩეში ზუსტად იგივე დაფიქსირდა, თუმცა „მარტინეს ვალეროზე“ მასპინძლებმა რამდენიმე ეპიზოდში უფრო გამართული თამაში აჩვენეს. ცხადია, ბუფონის კართან ესპანელებს საგოლე ეპიზოდების კასკადი არ დაუყენებიათ (მუნდიალის შესარჩევში საქართველოს ნაკრების მეტოქესთან მსგავსი „გასეირნება“ შეუძლებელია), მაგრამ ხავისა და სერხიო რამოსის ლიდერობით იტალია მაინც საკმაოდ შეაწუხეს.

მატჩის პირველი გოლი ლუკა ტონიმ შეაგდო, თუმცა მსაჯმა ერთიად საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა და ტაბლოზე 0:0 ძველებურად დარჩა. ამ მომენტის შემდეგ დონადონის შეგირდებს ღრმად „ჩაეძინათ“, რითაც სილვამ, ფაბრეგასმა და ტორესმა ისარგებლეს და იტალიის კართან ხიფათი შექმნეს, დაცვაზე ყურადღებაგადატანილი სტუმრებიდან კი გროსო გამოირჩეოდა, რომელიც კონტრშეტევებზე ერთ-ორჯერ ჩაუქად გაიბრძოლა.

შესვენებისას დონადონიმ ცვლილებები განახორციელა და მოედანზე სხვანაირი იტალია გამოჩნდა. ახლა უკანა ხაზის მიხედვა ესპანელებს მოუწიათ, სტუმრები კი გადამწყვეტ ეპიზოდებში ბედმა დაალალატა. კამორანეზის ორი კარგი საგოლე მომენტი ჰქონდა — პირველად, გროსოს პასის მერე ბურთი ძელს მოარტყა, მეორედ კი, იკერ კასილიასთან პირისპირ გასულმა, „რეალის“ მეკარის მოტყუება ვერ შეძლო.

თამაშის ერთადერთი გოლი 78-ე წუთზე გავიდა, როცა ფაბიო კანავარომ, მოგერიების ნაცვლად ბურთი პირდაპირ დავიდ ვილიას დაასვა ფეხზე. ვალენსიელმაც აღარ დააყოვნა და წამის მეოთხედში საუცხოო დარტყმით ცალკე ჯიჯი ბუფონი დატოვა გაოცებული და ცალკე მთელი იტალია. ესპანეთმა კი მორიგ მეტოქესთან გაიმარჯვა — „როხას“ 2006 წლის მუნდიალიდან არცერთი მატჩი არ წაუგია.

**ლადო ხომერიკი**

## ნორვეგიის შავი დღე ჩერნოგორიაში

**ჩერნოგორია 3:1 ნორვეგია**
1:0 ბურზანოვიჩი (7), 2:0 ბოშკოვიჩი (37), 3:0 დიალოვიჩი (60), 3:1 კარეუ (72)
**ჩერნოგორია:** პოლექსიჩი, პავიჩევიჩი, იოვანოვიჩი, ტანასიევიჩი, პეროვიჩი (ოგნიენოვიჩი 46), დრინჩიჩი, ბოშკოვიჩი (ნოვაკოვიჩი 46), ვ. ბოჟოვიჩი, ვუჩინიჩი (ბოგავაცი 46), ბურზანოვიჩი (ვუკოვიჩი 46), დიალოვიჩი
**მწვრთნელი:** ზორან ფილიპოვიჩი
**ნორვეგია:** ოპდალი, სტორბაკი (მოილანდი 46), რეგინიუსენი, ჰანგელანდი, ი. რიისე, სოლი (ნევლანდი 78), სტრომსტადი (ჰესტადი 77), ანდრესენი (ბაკე 46), სკიელბრედი, პედერსენი (ივერსენი 46), კარეუ
**მწვრთნელი:** აგე ჰარეიდე
**გაფრთხილება:** იოვანოვიჩი, ტანასიევიჩი, ნოვაკოვიჩი, ჰანგელანდი, ივერსენი, იოვანოვიჩი
**გაძევება:** იოვანოვიჩი (80)
**მსაჯი:** ალექსანდრ სტავრევი (მაკედონია)
9 000 მაყურებელი

**ჩვენმა** ერთ-ერთმა მომავალმა მეტოქემ, ჩერნოგორიამ, კიდევ ერთხელ გააკვირვა საფეხბურთო სამყარო. თუკი ვინმე აქამდე ამბობდა, ჩერნოგორიელებს მხოლოდ მირკო ვუჩინიჩი ჰყავთ, ისე დიდი ვერაფერი გუნდიაო, აგერ პასუხიც — დაშავებული ვუჩინიჩის გარეშე ნორვეგიასთან ბრწყინვალე თამაში და მოგება 3:1.

ნორვეგიულმა პრესამ საკუთარ ნაკრებს დასცინა და სალანძღავი სიტყვებიც არ დააკლო. მედიელების აზრით, ვიკინგების ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე ცუდი თამაში იყო. აგე ჰარეიდეს გუნდი მართლაც უსუსურად გამოიყურებოდა.

მილან იოვანოვიჩის გაძევების გამო მასპინძლებმა მატჩი ათი კაცით ჩაამთავრეს, მაგრამ ამას შეხვედრის მსვლელობაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია.

„ვერ ვითამაშე, მაგრამ მოგება თანაგუნდელებზე ნაკლებად არ გამიხარებია. თამაშით და ანგარიშით მართლაც ბედნიერები ვართ, საკუთარი ძალების უფრო მეტად ვირწმუნეთ. მით უმეტეს, ნორვეგიის სახით ძლიერი მეტოქე გვყავდა“ — აღნიშნა მუხლმტკივანმა ვუჩინიჩმა.

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სონდრე კაფიორდი: „0:2-ზეც იმედი მქონდა, რომ გავიბრძოლებდით, მაგრამ ფაქტია, საშინლად ვითამაშეთ. რაც შეეხება აგე ჰარეიდს, მერწმუნეთ, მას პოსტის დაკარგვა არ ემუქრება“.

„მეტოქის დაუფასებლობის გამო დავისაჯეთ. კონცენტრაცია გვაკლდა და პირველი გოლი რომ გავუშვით, საერთოდ ავირიეთ“ — თქვა ჰარეიდემ.

**ძოძი ძანდელაძი**

## იღბლიანი გენჩევი

**ბულგარეთი 2:1 ფინეთი**
0:1 ლიტმანენი (22პ), 1:1 ლაზაროვი (49), 2:1 გენჩევი (90)
**ბულგარეთი:** ივანკოვი (პეტკოვი 46), მილანოვი (ლაზაროვი 46), ტუნჩევი, ტომაშიჩი, ვენკოვი (ილიევი 56), ს. პეტროვი, ანგელოვი, დიმიტროვი, გეორგიევი (გენჩევი 65), მ. პეტროვი (კაკალოვი 75), ბერბატოვი (სრმოვი 85)
**მწვრთნელი:** პლამენ მარკოვი
**ფინეთი:** ენკელმანი, ლამპი (ნიუმანი 78), კუივასტო, პასოია, კალიო, კოლკა, ტაინიო (ვაირინენი 73), ერიომენკო (საარინენი 87), იოჰანსონი, ფორსელი (სპარნვეკი 61), ლიტმანენი (პოჰია 46)
**მწვრთნელი:** სტიუარტ ბაქსტერი
**გაფრთხილება:** მილანოვი, კალიო
**მსაჯი:** ალექსანდრო ტუდორი (რუმინეთი)
5 000 მაყურებელი

**მსოფლიოს** 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ბულგარეთი სოფიაში ფინეთს გაეჯიბრა ამხანაგურად და 2:1 მოუგო. თუმც თამაშის მიმდინარეობის მიხედვით, სტუმრები წაგებას ნაღდად არ იმსახურებდნენ.

ფინელებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და გარჯა 22-ე წუთზე დაუფასდათ, როცა იოჰანსონის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვეტერანმა იარი ლიტმანენმა გოლად აქცია.

ბულგარელებმა მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გაათანაბრეს. ეს ზდრავკო ლაზაროვმა მოახერხა. მატჩის გმირად კი მასპინძელთა 19 წლის მცველი სტანისლავ გენჩევი იქცა, რომელიც ნაკრებში სადებიუტო შეხვედრას ატარებდა. იგი მინდორზე 65-ე წუთზე შევიდა, 90-ეზე კი კუთხურისას იყოჩაღა და გამარჯვების გოლი შეაგდო.

„პირველი ტაიმი ძალიან სუსტად ჩავატარეთ და მთლიანობაში ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი. ამთავრესად მოტივაციის ნაკლებობა არ მომწონს“ — თქვა ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორისლავ მიხაილოვმა.

**ძოძი ძანდელაძი**

# ამხანაგური მატჩები

## იხვის სადებიუტო

**ბრაზილია 1:0 შვედეთი**

1:0 პატო (72)

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, დანი ალვეში (რაფინია 73), ლუსიო, ალექსი, რიჩარლისონი (მარსელო 73), ჟ. ბაპტისტა (ანდერსონი 60), ჟილბერტო სილვა, ჟოსუე (ერნანეში 63), დიეგო (ნევეში 65), ლუიშ ფაბიანო (პატო 60), რობინიო

**მწვრთნელი:** კარლოს დუნგა

**შვედეთი:** ისაკსონი (შაბანი 46), სტოორი, მელბერგი, მაისტოროვიჩი, ნილსონი (დორსინი 46), ლარსონი (ალექსანდერსონი 80), სვენსონი (ოლბაკი 49), კალსტრიომი, ლიუნგბერგი (ვილჰელმსონი 57), როზენბერგი, ელმანდერი (ბაკირჩოღლუ 61)

**მწვრთნელი:** ლარს ლაგერბაკი

**მსაჯი:** მაიკ რაილი (ინგლისი)

60 021 მაყურებელი

**1958 წელს** ბრაზილიამ სტოკჰოლმში შვედეთს მოუგო და მაშინ, აწ უკვე პენტაკამპეონები, პირველად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. ამ მოვლენის 50-ე წლისთავი კარლოს დუნგას შეგირდებმა ლონდონში, „ემირატებზე" აღნიშნეს.

ბრაზილიელები შვედებზე ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ და მომენტს მომენტზე ქმნიდნენ, რომ ვთქვათ, ტყუილი იქნება. თუმცა მეორე ნახევარში სამხრეთამერიკელების მცირე უპირატესობა გამოიკვეთა და 72-ე წუთზე პენტაკამპეონებმა გაიტანეს კიდეც შეხვედრის ერთადერთი გოლი.

გოლის ავტორი ბრაზილიელთა ახალი ვარსკვლავი ალექსანდრე პატო გახდა, რომლისთვისაც ეს სადებიუტო მატჩი გახლდათ. მან ბრწყინვალე დარტყმით იხეირა, მაგრამ სკანდინაველთა მეკარის სამი შაბანის შეცდომაც უნდა აღვნიშნოთ: კარიდან გამოვარდა, აუტის ხაზთან ბურთი წესიერად ვერ მოიგერია, „იხვს" მოარტყა და 18 წლის თავდამსხმელმაც დაუფიქრებლად და თავაუწევად, ოსტატურად დაუშვა ბურთი დაუცველ კარში.

„პატო მართლაც ძალიან ნიჭიერია და ყველა ის თვისება აქვს, რომლის წყალობითაც შეუძლია, დიდი ფეხბურთელი გახდეს, მაგრამ ნორმალურად განვითარების საშუალება უნდა მივცეთ. ვნახოთ, როგორი იქნება, როცა ნაკრებში მე-40 მატჩს ჩაატარებს. ნურც მისი გოლის სილამაზეს გავაზვიადებთ. თუმც ნამდვილად ოსტატურად დაარტყა და მნიშვნელოვანი ბურთი შეაგდო" — აღნიშნა დუნგამ.

შვედების მწვრთნელი ლარს ლაგერბაკი: „პატომ ბრწყინვალედ დაარტყა, მაგრამ მას ცოტა გაუმართლა კიდეც. შეტევაში გვიჭირს და უფრო მწვავედ უნდა ვითამაშოთ, როცა ეს საჭიროა. რაც გვინდოდა, ყველაფერი მივიღეთ — ტესტმატჩი ძალიან ძლიერ გუნდთან და რაღაცრაღაცეების გამოცდა. ახლა მომზადების ფინალურ სტადიაზე უნდა გადავიდეთ, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა დრო რჩება".

**გიორგი ძაძამიძე**



სერხიო აგერომ ეგვიპტელები დატანჯა

## კუნმა ფარაონს სძლია

**ეგვიპტე 0:2 არგენტინა**

0:1 აგერო (66), 0:2 ბურდისო (84)

**ეგვიპტე:** ალ ჰადარი, საიდი, გომაა, აბდ რაბუ, მოავადი, ჰასანი, ზაქი, აბუთრიქა (ფათჰი 81), მოთაები, შავქი, ზიდანი (მოჰამედი 74)

**მწვრთნელი:** ჰასან შეჰათა

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ძანეტი, ბურდისო, დემიკელისი (კოლოჩინი 82), ჰაინცე, მასკერანო, გაგო, მაქსი როდრიგესი (საბალეტა 89), ლუჩო გონსალესი, აგერო (ლ. ლოპესი 85), კრუსზი (კავენაგი 69)

**მწვრთნელი:** მარსელო ბიელსა

50 000 მაყურებელი

**ეგვიპტის** ეროვნული გუნდი არგენტინის ნაკრებს კაიროში საკმაოდ ძლიერად დაუხვდა, თუმცა სერხიო „კუნ" აგეროსა და ნიკოლას ბურდისოს გოლების წყალობით მატჩი მაინც სამხრეთამერიკელებმა მოიგეს. სტუმართაგან საუკეთესო აგერო გახლდათ, ეგვიპტემ კი ყველას დაუმტკიცა, რომ აფრიკის ჩემპიონი ტყუილუბრალოდ არ გამხდარა. „ფარაონთა" კარგი ტაქტიკური სისტემა მხოლოდ მცველების უნებლიე შეცდომის შემდეგ აირია.

2008 წელს არგენტინელთათვის ეს პირველი მატჩი იყო. სტუმრებს ეგვიპტეში მნიშვნელოვანი ფეხბურთელების, რიკელმეს, კამბიასოს და მესის არყოფნა აშკარად ეტყობოდათ. ადგილობრივთა გუნდი კი გულშემატკივართა წინაშე ამაყად წარდგა — ეგვიპტემ თებერვალში განაში გამართული აფრიკის თასის ტურნირი მოიგო.

ჩრდილოაფრიკელთა დედაქალაქში ამ მატჩამდე დიდი აჟიოტაჟი იყო, მაგრამ სტადიონი ბოლომდე მაინც არ შეივსო. თუმცა, ვინც გადაწყვიტა, თამაშისთვის ტელევიზორში ეცქირა, ბევრი არაფერი დაუკარგავს — „ალ კაიროზე" მონუმენტური ჯახი არ გამართულა.

პირველ ტაიმში გუნდებს მეტოქეთა საჯარიმო მოედნების მისადგომებთან განსაკუთრებული ხიფათი არ შეუქმნიათ. ეგვიპტემ არგენტინელებს „ფარაონთა" მწვრთნელის, ჰასან შეჰათას მიერ დამუშავებული სისტემა შესთავაზა — ასეთი ტაქტიკას ადრე განაში კამერუნი შეეწირა. აგეროს ბურთაობას კი დროდადრო „ფარაონების" ვარსკვლავის, მოჰამედ ზიდანის სიჩაუქე ჩრდილავდა.

ზიდანმა „ალბისელესტეს" [illegible] დროიდის „რეალის" ძველ გუნდელ ჰაინცეს დიდი თავსატეხი გაუჩინა. „კუნმა" კი ალ ჰადარის კარი 66-ე წუთზე, მცველთა დაწინაურების შემდეგ დალაშქრა. იქამდე სტუმრების შეტევაში ბევრი ლოგიკური არაფერი გაუკეთებიათ და თამაშის მერეც არგენტინულ მედიაში აღნიშნეს კიდეც, სასურველი იყო, ნებისმიერ თამაშში გვეხილა.

მოჰამედ აბუთრიქას შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ეგვიპტელთა ვარსკვლავმა ზიდანის [illegible] ვერ გამოიყენა და ბურთი „ალბისელესტეს" მეკარე აბონდანსიერის ხელში. შემდეგ „კუნის" გოლი იყო და გამოფხიზლებულმა არგენტინამაც ნელ-ნელა დაიწყო „ფარაონების" შევიწროვება. [illegible] გახსნიდან 5 წუთში ისევ [illegible] შეეძლო გატანა, თუმცა [illegible] ვერ [illegible].

მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე, ეგვიპტეს ბოლო ნიკოლა ბურდისომ მოუღო. არგენტინელთა ცენტრალურმა მცველმა მაქსი როდრიგესის ჯარიმის შემდეგ [illegible] კარის სიღრმეში ბურთი თავით გადაგზავნა.

შეხვედრა 50 [illegible] დასრულდა, მატჩის ერთ-ერთი [illegible] ალ ჰადარის კი [illegible] [illegible] მატჩის [illegible] კარის წინ „ალ [illegible]" „სიმბოლო" [illegible] ფორმებული გამართულა, თუმცა [illegible] ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაციის [illegible] [illegible] [illegible] ახლა მომავალზე ფიქრობს და მისი მოქმედება [illegible].

**ლადო ხომერიკი**

## გერმანიამ შვეიცარია შეარცხვინა

**შვეიცარია 0:4 გერმანია**

0:1 კლოზე (23), 0:2, 0:3 გომესი (61, 67), 0:4 პოდოლსკი (89)

**შვეიცარია:** ბენალიო, ლიხტშტაინერი, ეგიმანი, სენდეროსი (ფონ ბერგენი 75), შპიხერი, ინლერი (ჰუგელი 87), ბეჰრამი (ჟიგა 58), ფერნანდესი, ბარნეტა (ფონლანტენი 80), ფრაი (იაკინი 83), დერდიოკი (ნკუფო 46)

**მწვრთნელი:** იაკობ კუნი

**გერმანია:** ლემანი, ლამი (ტროხოვსკი 87), მერტეზაკერი, ვესტერმანი, იანსენი (როლფესი 79), ფრიცი (ა. ფრიდრიხი 72), ბალაკი, ჰიცლშპერგერი, შვაინშტაიგერი, კლოზე (პოდოლსკი 58), გომესი (კურანი 75)

**მწვრთნელი:** იოახიმ ლიოვი

**გაფრთხილება:** ინლერი, შვაინშტაიგერი, კლოზე

**მსაჯი:** ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

38 500 მაყურებელი





**გერმანია** პირველივე წუთებიდან სჯობდა მეტოქეს და ბევრად დიდი სხვაობითაც შეეძლო მოგება. ევრო 2008-ის თანამასპინძელმა შვეიცარიამ, ფაქტობრივად, ერთადერთი მომენტი შექმნა და იმ შემთხვევაშიც იენს ლემანმა იყოჩაღა.

იოახიმ ლიოვის შეგირდებმა პირველი გოლი 23-ე წუთზე მასპინძელთა მეკარის, დიეგო ბენალიოს უხეში შეცდომის წყალობით შეაგდეს. მიროსლავ კლოზემ 38-ე სანაკრებო გოლი გაიტანა.

ამას შესანიშნავ ფორმაში მყოფი მარიო გომესის დუბლი მოჰყვა. „შტუტგარტის" ფორვარდმა ჯერ კლემენს ფრიცის პასი შეირგო და ჩინებული დარტყმით იხეირა, მერე კი შეცვლაზე შესული ლუკაშ პოდოლსკის გადაცემით გაიტანა.

წერტილი 89-ე წუთზე თავად პოდოლსკიმ დასვა. აღსანიშნავია, რომ შვეიცარიას თავისი სამხრეთელი მეზობლისთვის 51 წელია, არ მოუგია.

„რასაკვირველია, კმაყოფილი ვარ. ნამდვილად კარგად ვითამაშეთ. ბევრად უფრო ორგანიზებულნი და შემართულნი ვიყავით, ვიდრე წინა შეხვედრაში ავსტრიასთან. ყოველთვის, როცა პოდოლსკი მინდორზე შედის, რაღაც სასარგებლოს გაკეთებას ახერხებს. გომესმა ყველას აჩვენა, რა სახიფათოც არის. მოკლედ, ძალიან მიხარია, რომ ფართო არჩევანის საშუალება გვაქვს" — განაცხადა ლიოვმა.

„მეტოქე ყველა კომპონენტში გვჯობდა. ძალიან ცუდად გამოვიყურებოდით და სამარცხვინო ანგარიშით დავმარცხდით. თუმც მერწმუნეთ, ევროპის ჩემპიონატზე სულ სხვანაირად ვითამაშებთ" — ეს კი შვეიცარიელთა თავკაც კობი კუნის სიტყვებია.

**გიორგი ძაძამიძე**

## ნიკოს კენიმ უპასუხა

**შოტლანდია 1:1 ხორვატია**

0:1 კრანჩარი (10), 1:1 მილერი (30)

**შოტლანდია:** გორდონი, ჰატონი, ნეისმიტი (მაკიველი 62), კოლდუელი (ანდერსონი 70), მაკმანუსი, დ. ფლეტჩერი (ალექსანდერი 90), ჰარტლი, ბრაუნი (ტილი 66), მელონი (ბოიდი 72), მილერი, ს. ფლეტჩერი (რაე 46)

**მწვრთნელი:** ჯორჯ ბარლი

**ხორვატია:** პლეტიკოშა, ჩორლუკა (შიმიჩი 85), რ. კოვაჩი (კნეჟევიჩი 73), შიმუნიჩი, სრნა (ლეკო 63), ნ. კოვაჩი (ვუკოიევიჩი 46), მოდრიჩი, კრანჩარი, პრანიჩი, პეტრიჩი (კლასნიჩი 58), ოლიჩი (ბუდანი 57)

**მწვრთნელი:** სლავენ ბილიჩი

**გაფრთხილება:** ბრაუნი, მაკმანუსი, ნეისმიტი, ნ. კოვაჩი, რ. კოვაჩი, ვუკოიევიჩი, შიმუნიჩი

**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

28 821 მაყურებელი



კენი მილერმა (№9) სქოტები მარცხისგან იხსნა

**შოტლანდიის** ნაკრების მწვრთნელმა ჯორჯ ბარლიმ სადებიუტო მატჩში ფრე ჩაიწერა და კმაყოფილი იყო იმით, რომ მისმა გუნდმა გათანაბრება მოახერხა: „ჩემი აზრით, ხორვატია ამჟამად ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრებია, რაც ინგლისთან „უემბლიზე" მოგებითაც დამტკიცდა. მართალია, მეტოქე მალევე დაწინაურდა, მაგრამ ბიჭებმა გულიანად იშრომეს და ფრე ლოგიკური შედეგია".

წვიმამ ხორვატებს ბურთის გაგორებაში ხელი ვერ შეუშალა, მათ თავიდანვე შეუტიეს, გოლი კი აუტს მოჰყვა. ლუკა მოდრიჩმა ბურთი მიიღო, საჯარიმოს წინ ნიკო კრანჩარს მიაწოდა, „პორტსმუთის" ფორვარდმა კი მარჯვენათი ისე ჩაახვია, რომ კრეიგ გორდონს მოგერიების შანსი არ დაუტოვა.

ამის შემდეგაც სტუმრები უფრო ყოჩაღობდნენ, მაგრამ მეტოქემ კონტრშეტევაზე გამოიჭირა. „ჰიბერნიანის" ფორვარდმა სტივენ ფლეტჩერმა, რომლისთვისაც ეს სადებიუტო მატჩი იყო, მარცხენა ფლანგზე კენი მილერს პასი შეუყოლა. „დერბის" თავდამსხმელი საჯარიმოში შევიდა და მახვილი კუთხიდან დაარტყა. ბურთი იოსიპ შიმუნიჩს მოხვდა და კარში შევარდა. მილერმა სანაკრებო გოლების რაოდენობა 11-მდე გაზარდა.

სქოთებს 51-ე წუთზე დაწინაურებაც შეეძლოთ. დერბელმა თავით დაარტყა, პლეტიკოშამ მოიგერია, ბურთი კი კარის ხაზიდან დარიო [illegible] პრანიჩმა გამოიტანა.

მერე ორჯერ კრეიგ გორდონსაც მოუწია გადარჩენა, როცა ნიკო კრანჩარს და შეცვლაზე შესული იგორ ბუდანს არ გაატანინა, ხოლო კრის ბოიდმა 84-ე-ზე საჯარიმოს ხაზიდან დაჰკრა და პლეტიკოშამ ხორვატები მარცხისგან იხსნა.

სტუმართა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა განაცხადა: „ძალიან კარგი ტესტ-მატჩი გამოგვივიდა და ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. შოტლანდიას ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს და საკმაოდ სოლიდური მეტოქეა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ამხანაგური მატჩები



ჰუნტელაარის ამ დარტყმამ ავსტრია დაასამარა

## შენი ბრალია!
## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13171 | კარლსრუე-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 13172 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13174 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13175 | კოტბუსი -ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13176 | ჰამბურგი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 13178 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.70 | 1.90 |
| 13180 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13181 | ვერდერი-დუისბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13182 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 1.50 | 2.10 |
| 13184 | აუე-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 13185 | ფრაიბურგი-ალემანია | 1.70 | 1.90 |
| 13186 | ვეენი-ფიურტი | 1.70 | 1.90 |
| 13187 | ოსნაბრიუკი-კაიზერსლაუტერნი | 1.70 | 1.90 |
| 13188 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13189 | ოფენბახი-კიოლნი | 1.60 | 2.00 |
| 13190 | მიონხენგლადბახი-კობლენცი | 1.70 | 1.90 |
| 13191 | მიუნხენი 1860-კარლ ცაისი | 1.60 | 2.00 |
| 13192 | პადერბორნი-ზტ.პაული | 1.70 | 1.90 |
| 13322 | ბულონი-ბასტია | 1.80 | 1.80 |
| 13323 | აიაჩო-ბრესტი | 1.90 | 1.70 |
| 13324 | ხედანი-შატორუ | 1.90 | 1.70 |
| 13325 | ანჟე-კლერმანი | 1.90 | 1.70 |
| 13326 | გენგამი-გრენობლი | 1.90 | 1.70 |
| 13327 | დიჟონი-გენიონი | 1.90 | 1.70 |
| 13328 | ამიენი-ლე ავრი | 1.80 | 1.80 |
| 13329 | ნიორი-ლიბურნი | 1.90 | 1.70 |
| 13331 | მონპელიე-რეიმსი | 1.90 | 1.70 |
| 13353 | გრააფსხაპი-გრონინგენი | 1.50 | 2.10 |
| 13354 | ჰერენვენი-აიაქსი | 1.50 | 2.10 |
| 13355 | ექსელსიორი-ვენლო | 1.50 | 2.10 |
| 13356 | ჰერაკლესი-როდა | 1.50 | 2.10 |
| 13357 | ნაიმეგენი-პსვ | 1.50 | 2.10 |
| 13359 | უტრეხტი-ტვენტე | 1.50 | 2.10 |
| 13360 | სპარტა-ტილბურგი | 1.50 | 2.10 |
| 13361 | ალკმაარი-ვიტესი | 1.50 | 2.10 |
| 13362 | ბრედა-ფეიენოორდი | 1.50 | 2.10 |
| 13727 | გიმარაეში-მარიტიმუ | 1.90 | 1.70 |
| 13728 | ბენფიკა-ფერეირა | 2.10 | 1.50 |
| 13729 | ნავალი-სპორტინგი | 1.90 | 1.70 |
| 13730 | ბელენენსეში-პორტუ | 1.90 | 1.70 |
| 13731 | ნასიონალი-ლეირია | 1.90 | 1.70 |
| 13732 | ამადორა-აკადემიკა | 1.90 | 1.70 |
| 13733 | ბრაგა-ლეიშოეში | 1.90 | 1.70 |
| 13734 | სეტუბალი-ბოავიშტა | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, (ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14171 | კარლსრუე-შალკე | 1.95 | 1.85 |
| 14172 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 2.50 | 1.30 |
| 14174 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 14175 | კოტბუსი -ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 14176 | ჰამბურგი-არმინია | 1.20 | 2.60 |
| 14178 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.45 | 2.40 |
| 14180 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 14182 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 2.00 | 1.80 |
| 14184 | აუე-მაინცი | 2.00 | 1.80 |
| 14185 | ფრაიბურგი-ალემანია | 1.70 | 2.20 |
| 14186 | ვეენი-ფიურტი | 1.85 | 1.95 |
| 14187 | ოსნაბრიუკი-კაიზერსლაუტერნი | 1.95 | 1.85 |
| 14188 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.45 | 2.40 |
| 14189 | ოფენბახი-კიოლნი | 2.00 | 1.80 |
| 14190 | მიონხენგლადბახი-კობლენცი | 1.30 | 2.50 |
| 14191 | მიუნხენი 1860-კარლ ცაისი | 1.45 | 2.40 |
| 14192 | პადერბორნი-ზტ.პაული | 1.80 | 2.00 |
| 14322 | ბულონი-ბასტია | 1.95 | 1.85 |
| 14323 | აიაჩო-ბრესტი | 1.80 | 2.00 |
| 14324 | ხედანი-შატორუ | 1.45 | 2.40 |
| 14325 | ანჟე-კლერმანი | 1.90 | 1.90 |
| 14326 | გენგამი-გრენობლი | 1.75 | 2.10 |
| 14327 | დიჟონი-გენიონი | 1.45 | 2.40 |
| 14328 | ამიენი-ლე ავრი | 2.10 | 1.75 |
| 14329 | ნიორი-ლიბურნი | 1.80 | 2.00 |
| 14331 | მონპელიე-რეიმსი | 1.45 | 2.40 |
| 14353 | გრააფსხაპი-გრონინგენი | 2.20 | 1.70 |
| 14354 | ჰერენვენი-აიაქსი | 1.90 | 1.90 |
| 14355 | ექსელსიორი-ვენლო | 1.80 | 2.00 |
| 14356 | ჰერაკლესი-როდა | 1.85 | 1.95 |
| 14357 | ნაიმეგენი-პსვ | 2.30 | 1.65 |
| 14359 | უტრეხტი-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 14360 | სპარტა-ტილბურგი | 1.75 | 2.10 |
| 14361 | ალკმაარი-ვიტესი | 1.70 | 2.20 |
| 14362 | ბრედა-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 14363 | ვეენდამი-ოსი | 1.65 | 2.30 |
| 14364 | ჰაარლემი-დენ ბოსხი | 2.40 | 1.45 |
| 14365 | დორდრეხტი-ჰელმონდი | 1.80 | 2.00 |
| 14366 | ზვოლე-ვოლენდამი | 1.80 | 2.00 |
| 14367 | ეინდჰოვენი-ემენი | 1.80 | 2.00 |
| 14368 | სიტარდი-კამბური | 1.70 | 2.20 |
| 14369 | დენ ჰააგი-ვალვაიკი | 1.80 | 2.00 |
| 14370 | როზენდალი-აპელდორნი | 1.30 | 2.50 |
| 14371 | ომნივორლდი-მაასტრიხტი | 1.80 | 2.00 |
| 14372 | ტელსტარი-იგლსი | 1.75 | 2.10 |
| 14727 | გიმარაეში-მარიტიმუ | 1.45 | 2.40 |
| 14729 | ნავალი-სპორტინგი | 2.40 | 1.45 |
| 14730 | ბელენენსეში-პორტუ | 2.40 | 1.45 |
| 14731 | ნასიონალი-ლეირია | 1.30 | 2.50 |
| 14732 | ამადორა-აკადემიკა | 1.75 | 2.10 |
| 14733 | ბრაგა-ლეიშოეში | 1.30 | 2.50 |
| 14734 | სეტუბალი-ბოავიშტა | 1.75 | 2.10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 407 | პოლონია-ვისლა | 7.50 | 4.10 | 1.35 | 2.65 | 1.14 | 1.01 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 403 | იაგელონია-ბელხატუვი | 2.45 | 3.10 | 2.70 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| 19:00 | 405 | ლოძი-ზაგლებე ლ | 2.70 | 3.10 | 2.45 | 1.44 | 1.28 | 1.36 |
| 21:15 | 406 | რუხი-ლეხი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 19:00 | 408 | გროცლინი-ზაგლებე ს | 1.15 | 6.10 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.33 |
| 19:00 | 410 | კრაკოვია-ვიძევი | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 404 | ოდრა-გურნიკი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 17:45 | 409 | ლეგია-კორონა | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 415 | სიგმა-ზლინი | 1.90 | 2.90 | 4.15 | 1.14 | 1.30 | 1.70 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 412 | ბუდეიოვიცე-ბოჰემიანსი | 1.95 | 3.00 | 3.85 | 1.18 | 1.29 | 1.68 |
| 13:15 | 413 | ჟიჟკოვი-პლზენი | 2.00 | 2.90 | 3.80 | 1.18 | 1.31 | 1.64 |
| 20:00 | 414 | ბოლესლავი-ბრნო | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 20:00 | 416 | კლადნო-ლიბერეცი | 3.00 | 3.00 | 2.25 | 1.50 | 1.28 | 1.28 |
| 23:15 | 417 | ტეპლიცე-ბანიკი | 2.50 | 2.80 | 2.85 | 1.32 | 1.33 | 1.41 |
| 18:00 | 418 | იაბლონეცი-მოსტი | 1.80 | 3.00 | 4.50 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 20:15 | 411 | სლავია-სპარტა | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 428 | ოდენსე-მიდტიულანდი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 425 | ორჰუსი-ესბიერგი | 2.70 | 3.30 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| 21:00 | 426 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 427 | ლინგბიუ-ნორდშელანდი | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 17:00 | 430 | ჰორსენსი-რანდერსი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 429 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 8.50 | 4.30 | 1.30 | 2.85 | 1.12 | 1.00 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 439 | ორჰუსი ფრ-კოლდინგი | 3.20 | 3.30 | 2.00 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 16:00 | 440 | სკივე-ფრემი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 16:00 | 441 | ოლსტრუპ-სონდერიულანდი | 6.00 | 3.70 | 1.50 | 2.28 | 1.20 | 1.06 |
| 16:00 | 442 | ჰვიდოვრე-ფრედერისია | 3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| 18:00 | 443 | ნესტვედი-ლოლანდი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 444 | სილკებორგი-ჰერფოლგე | 1.75 | 3.50 | 4.00 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 14:45 | 445 | აკადემისკი-ჰელერუპი | 1.80 | 3.40 | 3.85 | 1.17 | 1.22 | 1.80 |
| 16:00 | 446 | ვეილე-კიოგე | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 447 | ვალერენგა-ალესუნდი | 1.55 | 3.80 | 5.50 | 1.10 | 1.20 | 2.24 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 448 | ლილესტრომი-ტრომსიო | 1.60 | 3.50 | 5.25 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 21:00 | 449 | მოლდე-სტაბეკი | 2.60 | 3.30 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.40 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 450 | ბოდიო გლიმტი-ჰამარი | 2.25 | 3.40 | 2.75 | 1.35 | 1.23 | 1.52 |
| 21:00 | 451 | ვიკინგი-სტრიომსგოდსეტი | 1.45 | 3.90 | 6.00 | 1.05 | 1.16 | 2.36 |
| 23:00 | 452 | ბრანი-ფრედრიკსტადი | 1.40 | 4.10 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.58 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 453 | რუსენბორგი-ლინი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | [illegible] |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 744 | ნორჩიოპინგი-იურგორდენი | 2.80 | 3.00 | 2.40 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 18:00 | 745 | ჰალმსტადი-გეფლე | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 18:00 | 746 | გაის-ელფსბორგი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 18:00 | 747 | აიკ-კალმარი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 748 | ლიუნგსკილე-ჰამარბი | 3.70 | 3.30 | 1.90 | 1.74 | 1.25 | 1.20 |
| 22:00 | 749 | იორებრო-ტრელებორგი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 22:00 | 750 | სუნდსვალი-ჰელსინგბორგი | 2.70 | 3.30 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| 22:45 | 751 | მალმიო-გიოტებორგი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 456 | დუბლინი-სლიგო | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |
| 23:45 | 457 | ბოჰემიანი-ფინ ჰარპსი | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| 23:45 | 458 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| 23:45 | 459 | დერი-დროგედა | 2.45 | 3.10 | 2.70 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 460 | გალვეი-შემროკი | 2.80 | 3.00 | 2.40 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 23:45 | 461 | კობი-კორკი | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| | | არგენტინა | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 485 | რასინგი-სან მარტინი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 23:45 | 489 | კოლონი-ხიმნასია ლპ | 1.90 | 3.25 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.73 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 481 | ხიმნასია ჟ-როსარიო | 2.30 | 3.15 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.49 |
| 23:45 | 483 | ბანფილდი-არგენტინოს ხუნიორსი | 1.90 | 3.25 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.73 |
| 23:15 | 486 | ესტუდიანტესი-ველესი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| 23:45 | 488 | სან ლორენსო-ლანუსი | 1.85 | 3.25 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.77 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 480 | ნიუელსი-ტიგრე | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| 21:00 | 482 | ურაკანი-ინდეპენდიენტე | 2.35 | 3.15 | 2.80 | 1.34 | 1.27 | 1.48 |
| 23:15 | 484 | რივერ პლეიტი-არსენალი | 1.60 | 3.35 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.08 |
| 23:45 | 487 | ოლიმპო-ბოკა ხუნიორსი | 4.50 | 3.25 | 1.75 | 1.88 | 1.25 | 1.13 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 754 | ლანსი-პსჟ ნ | 2.80 | 2.85 | 2.50 | 1.41 | 1.32 | 1.33 |
| | | კალათბურთი. საბერძნეთი | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 688 | აგო-ბელ | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 21:00 | 690 | მარუსი-ეგალეო | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 19:00 | 691 | ლარისა-კოლოსოსი | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 685 | პანელინიოსი-არისი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 18:00 | 687 | პაოკ-პანიონიოსი | 1.55 | 12.00 | 2.15 | 1.37 | 1.00 | 1.82 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15171 | კარლსრუე-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | ბოხუმი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | კოტბუსი -ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | ჰამბურგი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | აუე-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | ფრაიბურგი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | ვეენი-ფიურტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | ოსნაბრიუკი-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15188 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15189 | ოფენბახი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | მიონხენგლადბახი-კობლენცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | მიუნხენი 1860-კარლ ცაისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | პადერბორნი-ზტ.პაული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15322 | ბულონი-ბასტია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15323 | აიაჩო-ბრესტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15324 | სედანი-შატორუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15325 | ანჟე-კლერმანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15326 | გენგამი-გრენობლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15327 | დიჟონი-გენიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15328 | ამიენი-ლე ავრი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15329 | ნიორი-ლიბურნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15331 | მონპელიე-რეიმსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15353 | გრააფსხაპი-გრონინგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15354 | ჰერენვენი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15355 | ექსელსიორი-ვენლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15356 | ჰერაკლესი-როდა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | ნაიმეგენი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15359 | უტრეხტი-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15360 | სპარტა-ტილბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15361 | ალკმაარი-ვიტესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15362 | ბრედა-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15363 | ვეენდამი-ოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15364 | ჰაარლემი-დენ ბოსხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15365 | დორდრეხტი-ჰელმონდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15366 | ზვოლე-ვოლენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15367 | ეინდჰოვენი-ემენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15368 | სიტარდი-კამბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15369 | დენ ჰააგი-ვალვაიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15370 | როზენდალი-აპელდორნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15371 | ომნივორლდი-მაასტრიხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15372 | ტელსტარი-იგლზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15727 | გიმარაეში-მარიტიმუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15729 | ნავალი-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15730 | ბელენენსეში-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15731 | ნასიონალი-ლეირია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15732 | ამადორა-აკადემიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15733 | ბრაგა-ლეიშოეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15734 | სეტუბალი-ბოავიშტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16171 | კარლსრუე-შალკე | 1.80 | 1.80 |
| 16172 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 4.10 | 1.17 |
| 16174 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1.70 | 1.95 |
| 16175 | კოტბუსი -ჰერტა | 1.80 | 1.85 |
| 16176 | ჰამბურგი-არმინია | 1.10 | 5.50 |
| 16178 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.23 | 3.60 |
| 16180 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1.75 | 1.85 |
| 16182 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 1.95 | 1.70 |
| 16184 | აუე-მაინცი | 2.05 | 1.65 |
| 16185 | ფრაიბურგი-ალემანია | 1.34 | 2.80 |
| 16186 | ვეენი-ფიურტი | 1.80 | 1.85 |
| 16187 | ოსნაბრიუკი-კაიზერსლაუტერნი | 1.82 | 1.82 |
| 16188 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.24 | 3.60 |
| 16189 | ოფენბახი-კიოლნი | 2.05 | 1.65 |
| 16190 | მიონხენგლადბახი-კობლენცი | 1.14 | 4.70 |
| 16191 | მიუნხენი 1860-კარლ ცაისი | 1.24 | 3.60 |
| 16192 | პადერბორნი-ზტ.პაული | 1.62 | 2.05 |
| 16322 | ბულონი-ბასტია | 2.05 | 1.65 |
| 16323 | აიაჩო-ბრესტი | 1.65 | 2.05 |
| 16324 | სედანი-შატორუ | 1.25 | 3.40 |
| 16325 | ანჟე-კლერმანი | 1.82 | 1.82 |
| 16326 | გენგამი-გრენობლი | 1.50 | 2.30 |
| 16327 | დიჟონი-გენიონი | 1.24 | 3.60 |
| 16328 | ამიენი-ლე ავრი | 2.40 | 1.45 |
| 16329 | ნიორი-ლიბურნი | 1.55 | 2.20 |
| 16331 | მონპელიე-რეიმსი | 1.25 | 3.40 |
| 16353 | გრააფსხაპი-გრონინგენი | 2.30 | 1.45 |
| 16354 | ჰერენვენი-აიაქსი | 1.80 | 1.85 |
| 16355 | ექსელსიორი-ვენლო | 1.62 | 2.05 |
| 16356 | ჰერაკლესი-როდა | 1.75 | 1.85 |
| 16357 | ნაიმეგენი-პსვ | 2.45 | 1.40 |
| 16359 | უტრეხტი-ტვენტე | 1.75 | 1.85 |
| 16360 | სპარტა-ტილბურგი | 1.45 | 2.45 |
| 16361 | ალკმაარი-ვიტესი | 1.38 | 2.65 |
| 16362 | ბრედა-ფეიენოორდი | 1.80 | 1.85 |
| 16363 | ვეენდამი-ოსი | 1.32 | 3.00 |
| 16364 | ჰაარლემი-დენ ბოსხი | 2.90 | 1.32 |
| 16365 | დორდრეხტი-ჰელმონდი | 1.65 | 2.05 |
| 16366 | ზვოლე-ვოლენდამი | 1.65 | 2.05 |
| 16367 | ეინდჰოვენი-ემენი | 1.65 | 2.05 |
| 16368 | სიტარდი-კამბური | 1.40 | 2.55 |
| 16369 | დენ ჰააგი-ვალვაიკი | 1.65 | 2.05 |
| 16370 | როზენდალი-აპელდორნი | 1.17 | 4.10 |
| 16371 | ომნივორლდი-მაასტრიხტი | 1.62 | 2.05 |
| 16372 | ტელსტარი-იგლზი | 1.45 | 2.45 |
| 16727 | გიმარაეში-მარიტიმუ | 1.23 | 3.60 |
| 16729 | ნავალი-სპორტინგი | 3.00 | 1.30 |
| 16730 | ბელენენსეში-პორტუ | 3.00 | 1.30 |
| 16731 | ნასიონალი-ლეირია | 1.14 | 4.70 |
| 16732 | ამადორა-აკადემიკა | 1.50 | 2.30 |
| 16733 | ბრაგა-ლეიშოეში | 1.14 | 4.70 |
| 16734 | სეტუბალი-ბოავიშტა | 1.52 | 2.20 |

## გოლი: ლუწი-1ლი კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17171 | კარლსრუე-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | კოტბუსი -ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ჰამბურგი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17180 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | ვერდერი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17182 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17184 | აუე-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ფრაიბურგი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ვეენი-ფიურტი | 1.85 | 1.95 |
| 17187 | ოსნაბრიუკი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17188 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17189 | ოფენბახი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17190 | მიონხენგლადბახი-კობლენცი | 1.85 | 1.95 |
| 17191 | მიუნხენი 1860-კარლ ცაისი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | პადერბორნი-ზტ.პაული | 1.85 | 1.95 |
| 17322 | ბულონი-ბასტია | 1.85 | 1.95 |
| 17323 | აიაჩო-ბრესტი | 1.85 | 1.95 |
| 17324 | სედანი-შატორუ | 1.85 | 1.95 |
| 17325 | ანჟე-კლერმანი | 1.85 | 1.95 |
| 17326 | გენგამი-გრენობლი | 1.85 | 1.95 |
| 17327 | დიჟონი-გენიონი | 1.85 | 1.95 |
| 17328 | ამიენი-ლე ავრი | 1.85 | 1.95 |
| 17329 | ნიორი-ლიბურნი | 1.85 | 1.95 |
| 17331 | მონპელიე-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 17353 | გრააფსხაპი-გრონინგენი | 1.85 | 1.95 |
| 17354 | ჰერენვენი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17355 | ექსელსიორი-ვენლო | 1.85 | 1.95 |
| 17356 | ჰერაკლესი-როდა | 1.85 | 1.95 |
| 17357 | ნაიმეგენი-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17359 | უტრეხტი-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17360 | სპარტა-ტილბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17361 | ალკმაარი-ვიტესი | 1.85 | 1.95 |
| 17362 | ბრედა-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 17364 | ჰაარლემი-დენ ბოსხი | 1.85 | 1.95 |
| 17365 | დორდრეხტი-ჰელმონდი | 1.85 | 1.95 |
| 17366 | ზვოლე-ვოლენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17367 | ეინდჰოვენი-ემენი | 1.85 | 1.95 |
| 17368 | სიტარდი-კამბური | 1.85 | 1.95 |
| 17369 | დენ ჰააგი-ვალვაიკი | 1.85 | 1.95 |
| 17370 | როზენდალი-აპელდორნი | 1.85 | 1.95 |
| 17371 | ომნივორლდი-მაასტრიხტი | 1.85 | 1.95 |
| 17372 | ტელსტარი-იგლზი | 1.85 | 1.95 |
| 17727 | გიმარაეში-მარიტიმუ | 1.85 | 1.95 |
| 17728 | ბენფიკა-ფერეირა | 1.85 | 1.95 |
| 17729 | ნავალი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17730 | ბელენენსეში-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17731 | ნასიონალი-ლეირია | 1.85 | 1.95 |
| 17732 | ამადორა-აკადემიკა | 1.85 | 1.95 |
| 17733 | ბრაგა-ლეიშოეში | 1.85 | 1.95 |
| 17734 | სეტუბალი-ბოავიშტა | 1.85 | 1.95 |



# ავტობილდმა საქართველოშიც შემოუხვია

**ახლახან** იყო, მსოფლიოში ცნობილი საფეხბურთო ჟურნალი „უორლდ სოკერი“ საქართველოში რომ შემოვიდა, ახლა კი ქართული მედიაბაზრის ათვისების ესტაფეტა ავტომრბოლელებმა გადაიბარეს. სულ მალე ჩვენთანაც გამოვა მსოფლიო ავტომოყვარულთა საყვარელი ჟურნალი „ავტობილდი“, რომელიც გერმანიაში 1986 წლიდან გამოიცემა და ამ სფეროში ყველაზე პრესტიჟულ და კომპეტენტურ პერიოდულ გამოცემად ითვლება.

გუშინ სასტუმრო „მერიოტში“ „ავტობილდ საქართველოს“ პრეზენტაცია გაიმართა, სადაც „ავტობილდის“ ხელმძღვანელობამ ჟურნალის შინაარსზე ამომწურავად ისაუბრა. ეს საქმე, ცხადია, არ ჩაივლიდა საქართველოს ავტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტის შალვა ოგბაიძის გარეშე, რომელთანაც „ავტობილდმა“ თანამშრომლობის თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა.

*გიორგი შარაშიძე*, „ავტობილდ საქართველოს“ გამომცემელი:

— ეს არის მსოფლიოში ცნობილი ჟურნალი, რომელშიც ავტომობილების ძალიან კომპეტენტური მცოდნეები მუშაობენ. „ავტობილდი“ არის ერთგვარი ჟურნალ-ექსპერტი, რომელსაც გერმანიაში საკუთარი ავტოდრომები აქვს და მრავალ ტესტს ატარებს, რის შედეგებსაც მოყვარულებს ჟურნალის მეშვეობით აწვდის. ვინაიდან საქართველოში მანქანები ძალიან უყვართ და ავტომფლობელთა რაოდენობა ბოლო წლებში, თითქმის ორჯერ გაიზარდა, ვფიქრობთ, სწორი ნაბიჯი იქნება „ავტობილდის“ საქართველოშიც გამოცემა. ეს ჟურნალი გერმანულია, თუმც 30 ქვეყანაში გამოიცემა და მჯერა, რომ საქართველოშიც მრავალ მკითხველს გაიჩენს“.

ჟურნალის ტექნიკურ და შინაარსობრივ მხარეზე „ავტობილდ საქართველოს“ მთავარმა რედაქტორმა *შალვა ბუჩიძემ* ისაუბრა:

„ჟურნალში მასალათა 70 პროცენტი გერმანულიდან იქნება ნათარგმნი, ხოლო 30 პროცენტს ქართველი ჟურნალისტები დაწერენ. პირველი ნომერი 30 აპრილს გამოვა და თავდაპირველად ერთთვიანი პერიოდულობის იქნება. პირველი ნომრის ტირაჟი 12 ათასია, ფასი კი წამახალისებელი — მხოლოდ 3 ლარი. როცა პირველ-ორ ნომერს გამოვცემთ, ფასისა და ტირაჟის ლავირებასაც შესაბამისად მოვახდენთ. მინდა აღვნიშნო, რომ „ავტობილდი“ ასგვერდიანი იქნება და ის საუკეთესო პოლიგრაფიული ტექნოლოგიით დაიბეჭდება. თამამად ვიტყვი, ასეთი ხარისხის ჟურნალი საქართველოში ჯერ არ გამოცემულა“.

*შალვა ოგბაიძე*: „ძალიან მოხარული ვარ, რომ მსოფლიოში ცნობილი ეს ჟურნალი საქართველოშიც შემოვიდა. მე „ავტობილდის“ რედაქციამ კონსულტანტად მიმიწვია და ჩემთვის ამ ჟურნალის გამომცემელთა გუნდში ყოფნა უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. მჯერა, რომ „ავტობილდი“ ქართველ ავტომოყვარულთა უსაყვარლესი ჟურნალი გახდება. ამის თქმის საშუალებას ის საავტომობილო ბუმი მაძლევს, რომელიც საქართველოში ყოველთვის იყო და დღეს განსაკუთრებულად იგრძნობა. ქართველი კაცისთვის ავტომობილი ოდენ ნივთი არ არის. არავინ ამბობს, მანქანა მაქვსო, არამედ — მყავსო. „ავტობილდში“ სრულად იქნება დაკმაყოფილებული ყველა ავტომოყვარულის გემოვნება. აქ იქნება რჩევები, თუ როგორი, რომელი მანქანის ყიდვა ჯობს. რა თქმა უნდა, დიდი ადგილი დაეთმობა პროფილაქტიკურ საკითხსაც. ზოგადად, არაფერი არ აერთიანებს ადამიანებს ისე, როგორც საერთო ინტერესები. ჰოდა, ვიმედოვნებ, რომ „ავტობილდი“ მალე ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ დაახლოებით 100 ათას ავტომოყვარულს გააერთიანებს“.

**ირაკლი პერტაია**

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# სამაისო რენო

## რაფაელა მასამ, ჩემს ქმარს თავი დაანებეთო

**მსოფლიო** ორგზის ჩემპიონის, ფერნანდო ალონსოს ტიტანური ძალისხმევის შედეგად, „რენომ“ წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის პირველ ორ ეტაპზე ექვსი ქულა კი მოიპოვა, მაგრამ ფრანგულ საჯინიბოში რეალურად აფასებენ თავიანთ ძალას და ფიქრობენ, რომ საკმაოდ რთული სეზონი ელით.

„ამ ეტაპზე „რენო“ განვითარების პროცესშია — განაცხადა გუნდის იტალიელმა შეფმა ფლავიო ბრიატორემ — რეალურად ძნელია იმის თქმა, თუ სადღეისოდ რა დონეზე ვართ. ერთი იმის თქმა შეიძლება, რომ „ფერარი“ და „მაკლარენი“ ძალზე წინ არიან, ხოლო სხვა გუნდებთან შედარებას ნუ ვიჩქარებთ. ევროპაში რომ დავბრუნდებით, იმედია, უფრო ძლიერები ვიქნებით. უკვე ესპანეთის დიდი პრიზისთვის უნდა გვქონდეს პროგრესი, ხოლო ჩვენი რეალური ძალა 11 მაისს გასამართი თურქეთის დიდი პრიზისთვის უნდა გამოჩნდეს“.

დაახლოებით ანალოგიურ შეფასებას აკეთებს ალონსოც: „ბაჰრეინში უკეთესობა არ იქნება და ეს ამბავი აშკარად არ მაკმაყოფილებს. ბარსელონაში რაღაც წინსვლა გვექნება, მაგრამ არც სხვა გუნდები ტკეპნიდა ერთ ადგილს და ამიტომაც, ძალთა საერთო შეფარდება, ალბათ, იგივე დარჩება, რაც ჩემპიონატის სტარტზე იყო“.

ალონსო აშკარად უკმაყოფილოა „რენოს“ დღევანდელი მდგომარეობით და ამასთან დაკავშირებით აგორდა ჭორები, რომ მომავალ სეზონში ნანდო, შესაძლოა, „ფერარიში“ აღმოჩნდეს, მით უმეტეს, რომ „სკუდერიაში“ აღარ არის ჟან ტოდტი, ვინც გუნდში ალონსოს მისვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო.




„ახლა ძალიან ადრეა ტრანსფერებზე საუბარი. მეორეს მხირვ, ფელიპე მასამ ორი ცუდი რბოლა ჩაატარა და არ გამოვრიცხავ, რომ „ფერარიმ“ ბრაზილიელის შეცვლა მოინდომოს — განუცხადა ფერნანდომ ესპანურ „დიარიო ასს“ და დაამატა — ჩემი სურვილები არ იცვლება. მსურს, რომ საჩემპიონოდ შემართულ ბოლიდში ვიჯდე. ამ წუთას მე „რენოში“ ვარ და ამ მანქანით ორი ტიტული მაქვს მოპოვებული. ჯერაც მშიერი ვარ ჩემპიონობაზე და ვიმედოვნებ, რომ წლელს თუ არა, გაისად მაინც ვიბრძოლებ ტიტულისთვის“.

ალონსოს „ფერარიში“ შესაძლო გადასვლაზე ლაპარაკმა ძალზე ალაშფოთა მასას მეუღლე რაფაელა, რომელმაც ამ ყველაფერს მონაჩმახი უწოდა და ერთ-ერთი ბრაზილიური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ბრძანა, ჩემი ქმარი მაგარია, ის „ფერარის“ კიდევ გამოადგება და ფელიპეს, ვერც ალონსო შეცვლის და ვერც სხვა რომელიმე მრბოლელიო.

**კახა ლომაძე**

# მადა ჭამაში მოდის




**თუ** ვინმე კმაყოფილია 2008 წლის საპირველფორმულო სეზონის დასაწყისით და პირველ ორი ეტაპზე ნაჩვენები შედეგებით, ეს, პირველ რიგში „BMW-ზაუბერია“, რომლის პილოტებმა, გერმანელმა ნიკ ჰაიდფელდმა და პოლონელმა რობერტ კუბიცამ, შესაბამისად ავსტრალიასა და მალაზიაში მეორე ადგილები დაიკავეს.

სადღეისოდ ჰაიდფელდი გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე-მესამე ადგილებს იყოფს მოქმედ ჩემპიონ კიმი რაიკონენთან ერთად, ხოლო კონსტრუქტორთა თასზე გერმანული საჯინიბო მხოლოდ ლიდერს, „მაკლარენს“ ჩამორჩება.

მადა ჭამაში მოდისო და „BMW-ზაუბერის“ დირექტორმა მარიო ტაისენმა ბრძანა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდი პირველ ისტორიულ გამარჯვებას, უკვე ამ სეზონში მოიპოვებსო.

„წლევანდელი წლისთვის ჩვენ ორი ამოცანა დავისახეთ. პირველი, რომ მოგვეხდინა „სამეფო რბოლების“ ელიტის ტრანსფორმაცია და ორი გუნდის („ფერარი“ და „მაკლარენი“) ბრძოლა სამი გუნდის ჭიდილად გადაგვექცია და მეორე — პირველი გამარჯვების მოპოვება. ვფიქრობ, პირველი ამოცანის გადასაჭრელად ჩვენ საკმაოდ კარგი ბაზა გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, ავსტრალიასა და მალაიზიაში დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია ტოპ-გუნდებთან პაექრობა. მჯერა, მეორე საკითხიც დადებითად გადაწყდება და „BMW-ზაუბერი“ წლეულს თავის პირველ დიდ პრიზს მოიპოვებს.

წყალი არ გაუვა, რომ დასაწყისი დიდებული გამოგვივიდა. ორი მეორე ადგილი, ჰაიდფელდის უსწრაფესი წრე მალაიზიაში და 19 ქულა, ეს მშვენიერი შედეგია, აშკარად უფრო მეტი, ვიდრე ვფიქრობდი“ — განაცხადა ტაისენმა.

„BMW-ზაუბერის“ შეფს კვერი დაუკრა „ფერარის“ ახალმა ხელმძღვანელმა სტეფანო დომენიკელიმაც: „ყველამ ნახა, რომ კუბიცამ და ჰაიდფელდმა ორი შესანიშნავი სარბოლო უიქენდი ჩაატარეს. ეჭვგარეშეა, რომ მიმდინარე სეზონში ისინი კიდევ ბევრჯერ გამოიჩენენ თავს და „ფერარისაც“ და „მაკლარენსაც“ ბლომად ქულებს დააკარგვინებენ.“

**კახა ლომაძე**

## რეგულარული ჩემპიონატი

26 მარტი

**კოლუმბუსი 4:0 ჩიკაგო**

*0:0 1:0 3:0*

1:0 ლინდსტრომი (25), 2:0 უილსონი (48), 3:0 ვიბორნი (49), 4:0 პეკა (52)

**მინესოტა 3:1 ედმონტონი**

*2:0 1:0 0:1*

1:0 რადივოევიჩი (4), 2:0 პილი (8), 3:0 როლსტონი (31), 3:1 პიზანი (45)

**კოლორადო 6:3 ვანკუვერი**

*1:2 4:1 1:0*

1:0 ლეოპოლდი (6), 1:1 დ. სედინი (10), 1:2 პაიეტი (14), 2:2 შჩასტნი (25), 3:2 მაკლეოლი (27), 4:2 ჰეიდუკი (31), 5:2 ჰაიტი (32), 5:3 სალო (50), 6:3 ჰეიდუკი (41)

**ანაჰაიმი 2:1 ლოს ანჯელესი**

*0:1 1:0 0:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*

0:1 ოსალივანი (10), 1:1 რაიანი (33)



ჯონ ზეილერი და ლოსანჯელესელები ანაჰაიმელებთან ბულიტებით დამარცხდნენ



## ამბერის ტურნირი

ნიცა. საფრანგეთი. 14-28 მარტი

**IX ტური**

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5; 0,5:0,5 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 0:1; 0:1 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0; 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5; 0:1 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0:1; 0,5:0,5 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5; 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |

**X ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0:1; 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5; 0:1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0:1; 1:0 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 0,5:0,5; 0:1 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5; 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5; 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |

*პირველად მოცემულია დაფაზე დაუხედავი პარტიების შედეგები*

# სომეხმა ადრე მოიგო

**ლევონ არონიანმა** ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა პირველობა. მეათე ტურში მან ვლადიმირ კრამნიკს ორივე ქულა ძმურად გაუყო და მდევართათვის მიუწვდომელი შეიქმნა.

სომეხი მოჭადრაკე „სწრაფ“ ცხრილსაც ერთპიროვნულად ლიდერობს 7,5 ქულით, „ბრმა“ თამაშში კი კრამნიკთან ერთად 6-6 ქულით იყოფს პირველობას.

სპეციალისტები მაგნუს კარლსენის გამოსვლას დამაკმაყოფილებელს უწოდებენ. პატარა ნორვეგიელმა ტურნირის მოგების შანსი ორი ტურით ადრე დაკარგა, თუმც ლიდერებს ღირსეულად ეომა და ბევრი ძვირფასი ქულაც აართვა.

მეორე ადგილზე გასვლის შანს კი ერთბაშად სამი მოჭადრაკე, მათ შორის კარლსენიც ინარჩუნებს და ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლევონ არონიანი | 13,5 |
| 2. | ვლადიმირ კრამნიკი | 11 |
| 3. | ვესელინ ტოპალოვი | 11 |
| 4. | მაგნუს კარლსენი | 11 |
| 5. | პეტერ ლეკო | 11 |
| 6. | ვასილ ივანჩუკი | 10 |
| 7. | ვიშვანათან ანანდი | 10 |
| 8. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 10 |
| 9. | სერგეი კარიაკინი | 8,5 |
| 10. | ლუკ ვან ველი | 8 |
| 11. | ბორის გელფანდი | 8 |
| 12. | შაჰრიარ მამედიაროვი | 8 |



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კრისი ჯიბიდან ისვრის

26 მარტი

**ატლანტა 115:96 მილუოკი**

ატლანტა: ბიბი (16), ჯონსონი (28), უილიამსი (16), სმიტი (7), ჰორფორდი (7); ჩილდრესი (20), ლოუ (10), ფაჩულია (22 წუთი, 9 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება), ჯონსი (2), სტუდემაიერი, ვესტი, რიჩარდსონი

მილუოკი: უილიამსი (6), რედი (2), მეისონი (10), ვილანუევა (10), ბოგუტი (27); ძიანლიანი (6), სთორი (5), აივი (4), რუფინი (1), გაძურიჩი, სერინოზი

**ბოსტონი 117:97 ფინიქსი**

ბოსტონი: გარნეტი (30), პირსი (27)

ფინიქსი: სტუდემაიერი (32), ონილი (16)

**ფილადელფია 121:99 ჩიკაგო**

ფილადელფია: უილიამსი (23), იგუდალა (21), იანგი (20)

ჩიკაგო: სეფოლოშა (20), ჰაინრიხი (18)

**კლივლენდი 99:100 ნიუ ორლეანი**

კლივლენდი: ილგაუსკასი (29 ქულა, 15 მოხსნა), ჯეიმსი (21)

ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (25), ვესტი (20), პოლი (15 ქულა, 20 პასი)

**ტორონტო 89:82 დეტროიტი**

ტორონტო: ბოში (21), ნესტეროვიჩი (15)

დეტროიტი: ბილაფსი (24), სტაკი (16)

**ნიუ ჯერსი 124:117 ინდიანა**

ნიუ ჯერსი: ბუნი (26), ჰარისი (22 ქულა, 15 პასი), კარტერი (22 ქულა, 14 მოხსნა), ჯეფერსონი (20)

ინდიანა: დანლივი (33), გრეინჯერი (19)

**ნიუ იორკი 103:96 მაიამი**

ძირითადი დრო 92:92

ნიუ იორკი: კროუფორდი (24), რენდოლფი (16 ქულა, 14 მოხსნა)

მაიამი: დევისი (28), კუკი (21)

**სან ანტონიო 97:88 კლიპერსი**

სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 12 მოხსნა), ფინლი (16), პარკერი (15

კლიპერსი: მაგეტი (22), ტორნტონი (21)

**ჰიუსტონი 97:86 მინესოტა**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (23 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), სკოლა (18 ქულა, 18 მოხსნა)

მინესოტა: ჯეფერსონი (21 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), გომესი (17), მაკკანტსი (18)

**საკრამენტო 107:106 მემფისი**

ძირითადი დრო 98:98

საკრამენტო: მარტინი (36), არტესტი (24), მილერი (15 ქულა, 17 მოხსნა, 8 პასი)

მემფისი: უორკი (26), ლორი (16)

**სიეტლი 99:104 ვაშინგტონი**

სიეტლი: ლურანტი (33)

ვაშინგტონი: მეისონი (22), ბატლერი (21), ჯემისონი (17)

**ლეიკერსი 95:108 შარლოტი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (27), ოდომი (18)

შარლოტი: რიჩარდსონი (34 ქულა, 10 მოხსნა), კეროლი (18), ვოლესი (15)



ნიუორლეანელმა კრის პოლმა ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდს“ პირში ჩალა გამოავლო

ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ „ჩიკაგოსთან“ მარცხით წახდენილი საქმე კიდევ ერთი კონკურენტის, „მილუოკის“ ძლევით გამოასწორა და ეს გუნდი ალბათ საბოლოოდ ჩამოაშორა საპლეიოფო მარათონს.

ისე კი ატლანტელებს მეტი ყურადღების მიქცევა „ნიუ ჯერსისკენ“ მართებთ და იმის გააზრებით, რომ ეს უკანასკნელი ბოლო ექვსი წელია, პლეი ოფის მუდმივი მკვიდრია, ხოლო „ატლანტა“ 1999 წლის შემდეგ უპლეიოფოდ იტანჯება, საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოწურვა მოუხდებათ.

„მილუოკიმ“ „ატლანტას“ მხოლოდ პირველი მეოთხედი გაუძლო, მერე კი თანდათან მოტყდა და მესამე მეოთხედშივე მოაწერა ხელი კაპიტულაციას. ერთადერთი უსიამოვნება, რაც ატლანტელებს შეემთხვათ, მათ გამთამაშებელ მაიკ ბიბის დამტვრევა იყო. ბიბიმ მეოთხე მეოთხედში სწორედ ის ცერი იტკინა, რომელზეც შემოდგომაზე ოპერაცია გადაიტანა და ამის გამო სეზონის პირველი 36 თამაში გამოტოვა. ექიმმა ოდნავ დაამშვიდა „ქორების“ ბაზიერი მაიკ ვუდსონი, როცა უთხრა, ბიბის რამდენიმე დღეში მოუშუშდება ნატკენიო.

„ატლანტასთან“ ერთად მოიგო „ნიუ ჯერსიმაც“, რომელიც ასე ჩანს, დარჩენილ ერთ თვეში გვარიანად ანერვიულებს ზაზა ფაჩულიას გუნდს. ახლა ჯერსელებმა „ინდიანა“ გაისიგრძეგანეს, თანაც ერთბაშად ოთხმა ჯერსელმა გააკეთა 20 და მეტი ქულა.

დასავლეთში კი გრძელდება ლიდერთა უსასტიკესი ბრძოლა მზის ქვეშ უფრო თბილი ადგილისთვის. მოულოდნელად შინ დამარცხდა „ლეიკერსი“. კობი ბრაიანტის გუნდი კნაჭა ალმოსავლელმა „შარლოტმა“ შეარცხვინა. თავად კობიმ მატჩის მიწურულს მსაჯებთან იკამათა და თავი გააგდებინა.

დასავლეთში პირველობას ინარჩუნებს კრის პოლის „ნიუ ორლეანი“, რომელმაც ამჯერად ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდს“ მისსავე დარბაზში სასწაულებრივად მოუგო. იდეაში ეს უნდა ყოფილიყო ნბა-ს ორი საუკეთესო მოთამაშის — პოლისა და ჯემსის დუელი. ნიუორლეანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დაცვაში იყოჩაღეს და ჯეიმსი 21 ქულას დააყაბულეს. ამის ფონზე ივარგა ჯეიმსის აყლაყუდა თანაგუნდელმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა, ვინაც სეზონში სარეკორდოდ ბევრი ქულა მოიხვეჭა. თავის მხრივ არც პოლს ჩაუყრია უზომოდ ბევრი, მაგრამ ის, რომ პეჯა სტოიაკოვიჩმა 25 ქულა გაშანსა (6 სამქულიანი), ხოლო დევიდ ვესტმა 20 გააზერხა, დიდწილად სწორედ ცქნაფა გამთამაშებელის დამსახურებაა. პოლმა ლიგის საუკეთესო გამთამაშებელი სტივ ნეშიც კი დაჩრდილა და თავის ამპლუაში უდავოდ საუკეთესოდ იქცა. ახლა მან 20 პასი (!) გააკეთა და მე-20 დევიდ ვესტს მისცა, რომელმაც საფინალო სირენამდე 0,6 წამით ადრე ორიანი ჩააგდო და ლებრონის არმია გაოგნებული დატოვა. ჯეიმსმა მერე აღიარა — ეს იყო რაღაც არანორმალური პასი, პოლი ფარქვეშ რომ შემოიჭრა, სამი კაცი თავზე დავახტით, მაგრამ მაგ ბიჭს თვალები კეფაზეც აქვს და ისეთი პასი გააკეთა, გამარჯვება ალალმისი იყოსო.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი | 56 | 15 | 78,9 |
| დეტროიტი | 50 | 21 | 70,4 |
| ორლანდო | 46 | 27 | 63,0 |
| კლივლენდი | 40 | 32 | 55,6 |
| ვაშინგტონი | 37 | 34 | 52,1 |
| ფილადელფია | 37 | 35 | 51,4 |
| ტორონტო | 36 | 35 | 50,7 |
| ატლანტა | 31 | 40 | 43,7 |
| ნიუ ჯერსი | 31 | 41 | 43,1 |
| ინდიანა | 29 | 43 | 40,3 |
| ჩიკაგო | 28 | 43 | 39,4 |
| შარლოტი | 26 | 45 | 36,6 |
| მილუოკი | 24 | 46 | 34,3 |
| ნიუ იორკი | 20 | 51 | 28,2 |
| მაიამი | 13 | 58 | 18,3 |
| **დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 49 | 21 | 70,0 |
| ჰიუსტონი | 49 | 23 | 68,1 |
| ლეიკერსი | 49 | 23 | 68,1 |
| იუტა | 47 | 25 | 65,3 |
| სან ანტონიო | 49 | 23 | 68,1 |
| ფინიქსი | 47 | 24 | 66,2 |
| დალასი | 45 | 26 | 63,4 |
| გოლდენ სტეიტი | 43 | 27 | 61,6 |
| დენვერი | 43 | 28 | 60,6 |
| პორტლენდი | 38 | 34 | 52,8 |
| საკრამენტო | 32 | 39 | 45,1 |
| კლიპერსი | 21 | 50 | 29,6 |
| მინესოტა | 18 | 52 | 25,7 |
| მემფისი | 18 | 53 | 25,4 |
| სიეტლი | 17 | 55 | 23,6 |

ევროპის ერთა თასი

ჩეხეთი – საქართველო

29 მარტი. პრაღა. 19 საათი

# საქართველომ 22-ამდე დაითვალა

**გუშინ** საქართველოს ნაკრებმა მესამედ ივარჯიშა პრაღაში, სადაც ხვალ თავის საიუბილეო მე-100 მატჩში ჩეხეთის ნაკრებს საერთათასოდ დაუპირისპირდება.

პრაღაში ლამის მესამე შემადგენლობით ჩასული საქართველოს ნაკრები დღეს, მატჩის ადგილას, „ტატრა სმიხოვზე" ივარჯიშებს. გუშინ კი ჩვენების ავსტრალიელმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა სამატჩო 22 კაცი დანომრა. ჩვენები ჩეხებს ამ შემადგენლობით დაუპირისპირდებიან:

*ძირითადი შემადგენლობა*

*15 ირაკლი ყიასაშვილი, 14 გიორგი შკინინი, 13 დავით კაჭარავა, 12 ალექსანდრე თოდუა, 11 ირაკლი ჩხიკვაძე, 10 ლაშა მალაღურაძე, 9 გიორგი კაჭარავა, 8 დიმიტრი ბასილაია, 7 გიორგი ჩხაიძე, 6 ბესო უდესიანი, 5 გიორგი ნემსაძე, 4 შალვა სუთიაშვილი, 3 შოთა მელიქიძე, 2 დავით დადუნაშვილი, 1 გოდერძი შველიძე*

*სათადარიგონი*

*16 სიმონ მაისურაძე, 17 გიორგი მჭედლიშვილი, 18 სანდრ მჭედლიშვილი, 19 დავით ჩიჩუა, 20 მერაბ კვირიკაშვილი, 21 სანდრო ნიჟარაძე, 22 რევაზ გიგაური.*

**დარჩენილი მატჩები**

12 აპრილი

რუსეთი — საქართველო

19 აპრილი

ჩეხეთი — რუსეთი

26 აპრილი

საქართველო — ესპანეთი

10 მაისი

ესპანეთი — პორტუგალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 8 | 7 | 0 | 1 | +125 | 14 |
| საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +133 | 12 |
| პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -8 | 6 |
| ესპანეთი | 8 | 3 | 0 | 5 | -9 | 6 |
| ჩეხეთი | 7 | 0 | 0 | 7 | -513 | 0 |




ჭიდაობა

# ფინეთშიც მთავარი პეკინი იქნება

**საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები 1-6 აპრილს გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს ბორჯომში გადიან. გუშინ ჭიდაობის ფედერაციამ პრესკონფერენცია ბორჯომშივე ჩაატარა და ჟურნალისტებს საევროპო გეგმები გაგვაცნეს.**

**ვიდრე** მწვრთნელთა და მოჭიდავეთა მონათხრობს მოგიყვებით, გეტყვით, რომ ნაკრებებში ჩემპიონატის წინ ძალიან კარგი სიტუაციაა. სასტუმრო „ოლიმპში" მოჭიდავეთა გარდა ძიუდოისტებიც არიან დაბინავებულნი და საკმაოდ ხალისიანი განწყობაა შექმნილი.

პრესკონფერენციაზე კი თავდაპირველად სპორტის დეპარტამენტის თავჯდომარის მოადგილემ *გია გალდავამ* ილაპარაკა:

— მადლობა ჟურნალისტებს ჩამობრძანებისთვის. გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატი ერთ-ერთი ძირითადი შეჯიბრია და მასზე კარგად გამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია. ხოლო როგორ არიან ბიჭები მომზადებულები, ამის თაობაზე მწვრთნელები მოგვიყვებიან.

*ზაზა თურმანიძე,* თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მწვთრნელი:

— ეს წელი, მოგეხსენებათ, ოლიმპიურია და აქედან გამომდინარე, მთლიანად ოლიმპიადაზე ვართ კონცენტრირებულნი. სულ რაღაც 2 ლიცენზია გვაქვს, თუმც მეტის მოსაპოვებლად დიდი შანსი არც გვქონია.

ევროპის ჩემპიონატზე სულ შვიდი ლიცენზია გათამაშდება. თუ ჩემპიონი ლიცენზირებული ფალავანი გახდება, მაშინ ჩინეთის საგზურს მომდევნო დაისაკუთრებს და ასე შემდეგ.

მომზადება სომხეთში, წახკაძორში, მშვენიერ პირობებში გავიარეთ და კმაყოფილები ვართ. ამის მერე თურქეთის, უკრაინისა და ბელარუსის საერთაშორისო ტურნირებში ვმონაწილეობდით. თავის გამოჩენის საშუალება მესამე და მეოთხე ნომრებსაც მივეცით და საბოლოოდ ევროპაზე წამსვლელთა ვინაობაც გაირკვა. ერთადერთი, ოთარ თუშიშვილი (66 კგ) დაგვაკლდება ტრავმის გამო.

ევროპის ჩემპიონატზე ნაცად ბიჭებს ვიახლებთ, მათი მეიმედება და მედლებსაც ვგეგმავთ, თუმც ვნახოთ...



ზაზა თურმანიძე, გია გალდავა და ბეგი დარჩია

თავისუფლები ფინეთის ქალაქ ტამპერეს 30 მარტს მიაშურებენ და 1-2 აპრილს ორთაბრძოლებში ჩაებმებიან.

ამის შემდეგ „ანტიკოსთა" თავკაცმა *ბეგი დარჩიამ* ილაპარაკა:

— დეკემბერში ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად შეკრება გავიარეთ. ეს წინასწარ არ იყო დაგეგმილი და სპორტის დეპარტამენტი დაგვეხმარა. ნაყოფიერი შეკრება გამოვიდა. მერე თბილისში 2 კვირა ვვარჯიშობდით და უნგრეთში მსოფლიოს თასზე გამოვედით. შეჯიბრში საუკეთესოები რომ გვყოლოდა, ნაკრებებს შორის თასის მოგება შეიძლებოდა, მაგრამ შანსი ახალგაზრდებს მივეცით. ინდივიდუალურში კი, როგორც იცით, ბადრი ხასაიამ (84 კგ) იჭიდავა ძალიან კარგად.

ირაკლი ჭოჭუას (55 კგ) წონის პრობლემა აქვს, მაგრამ გამოცდილია და ფინეთში გამოვა. დავით ბედინაძეც (60 კგ) წონის პრობლემას უჩივის და ჯობს, ამ ეტაპზე არ იჭიდავოს: გვინდა, რომ ოლიმპიადას მაქსიმალურად კარგ ფორმაში შეხვდეს. აქ რევაზ ლაშხი გამოვა. 66 კგ-ში მუხრან მაჭუტაძემ დაიმსახურა ნაკრებში ადგილი. 74 კგ-ში შმაგი გულიაშვილი მიგვყავს. მან საქართველოს ჩემპიონატი ზედიზედ ორჯერ მოიგო და მსოფლიოს თასზე ოლიმპიური ჩემპიონიც წააქცია.

როდესაც საქმე 84 კგ-ზე მიდგა დარჩიამ ოლიმპიური გუნდის ექიმ ზურაბ კახაბრიშვილს სთხოვა საუბარში ჩართვა, რადგან ბადრი ხასაიას ტრავმა აწუხებდა და სათქმელიც ეს იყო.

*ზურაბ კახაბრიშვილი:*

— ბადრის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია და შეუძლია, ევროპაზე იჭიდავოს.

90 კგ-ზე კი, სადაც რამაზ ნოზაძე გამოდის, ბეგი დარჩიამ ეს თქვა, რამაზს და მის პირად მწვრთნელს საშუალება მივეცით, თავად განესაზღვრათ გამოვიდოდნენ თუ არა, რადგან მათ დიდი გამოცდილება აქვთო:

— რამაზმა ჭიდაობა გადაწყვიტა, მძიმეში კი გურამ ფერსელაძე გამოვა, მან საქართველოს ჩემპიონატი წააგო, მაგრამ ევროპაზე ჭიდაობა დაიმსახურა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ოლიმპიადისთვის მოჭიდავეები სათანადო ფორმაში იყვნენ.

„ანტიკოსებს" ერთით მეტი ლიცენზია აქვთ და დარჩენილ ოთხ წონაში საგზურის მოპოვებას ევროპის ჩემპიონატის მერე ორ სალიცენზიო ტურნირზეც ეცდებიან, სადაც ჯერ საუკეთესო ოთხეული და მერე სამეული იხეირებს. იგივე პრინციპის ტურნირები ელით თავისუფლებსაც.

პრესკონფერენციის შემდეგ მოჭიდავეებსაც გავესაუბრეთ და საევროპო მზადყოფნაზე ვკითხეთ.

*რევაზ მინდორაშვილი* (84 კგ):

— საკმაოდ კარგად ვარ მომზადებული ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. მსურს, ჩემპიონი გავხდე. კარგი იქნება, ლიცენზიას ახლავე თუ ავიღებ, ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში უფრო მშვიდად ვივარჯიშებ.

*გიორგი გოგშელიძე* (96 კგ):

— ცოტა გამხდარი ვარ, მაგრამ არაფერია. საკმარისი წონა მაქვს იმისთვის, რომ ვიჭიდაო. მთავარი აქცენტი ოლიმპიადაზე გავაკეთე, ისე კი ჩინეთის საგზურის ახლავე აღება კარგი იქნება და ვნახოთ.

*ბადრი ხასაია* (84 კგ):

— ტრავმა აღარ მაწუხებს, ცოტა გაციებულიც ვიყავი, მაგრამ გამოვკეთდი. საერთოდ ნორმალურ ფორმაში ვარ. ბუნებრივია, ევროპაზე მედლისთვის ვიბრძოლებ. ვიცი, გამორჩევა ძნელია, ასე 6-7 ხელსაყრელი მოჭიდავე ყოველთვის არის.

*რამაზ ნოზაძე* (96 კგ):

— ევროპის ჩემპიონატს მომზადებული ვხვდები. მთავარი მიზანი კი ოლიმპიადაა. მინდა, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც კარგად ვიყო. ეს ოლიმპიადა ხომ ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. ისიც ვიცი, რომ ეგვიპტელი, ვისთანაც ათენის ოლიმპიადის ფინალი წავაგე, ჭიდაობას დაუბრუნდა და სიამოვნებით შევხვდები. რევანშის სურვილიც მაქვს და ქართველ ხალხსაც გაუხარდება ჩვენი დაპირისპირება.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ტამპერეში 3 აპრილს წავლენ და 5-6-ში იჭიდავებენ.

**ლექსო მაისურაძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მაგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოხელიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 12. II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge